# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ცუღლუტობით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უპატიოსნობაზე უსაძაგლესია.


ორშაბათი, 13 ნოემბერი. 2023 წ. №127 (9659) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru | ფასი 1 ლარი


## საფიქრალში ჩავარდნილი ოპოზიცია

## იმის ძახილი - ხელისუფლება რომ „პრორუსია“, დასრულდა - ეს ოპოზიციის ნაგებული თამაში იყო...



3

## ოპოზიცია ძირგამომთხრელ საქმიანობას მაინც გააგრძელებს

## ქართული მეცნიერება გამოწვევათა პირისპირ

6




7

## მეცნიერების საერთაშორისო დღე და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის დაუვიწყარი 10 ნოემბერი

## აფხაზური ენა ისევ საქართველომ უნდა გადაარჩინოს! 5

## თუ საკითხი ომის გზით ვერ გადაწყდება, უნდა დავსხდეთ და მოვილაპარაკოთ... 2

## რუსეთისთვის სანქციების დაწესება ჯერ თავად ევროპამ და ამერიკამ შეასრულოს! 4

## შეიძლებოდა 5 თუ არა კირბალის ტრაგედიის თავიდან აცილება?!



## რომის პაპი: მე ყველას გვერდით ვარ, როგორც პალესტინელების, ისე ისრაელელების...

**რომის პაპი ფრანცისკე ღაზის მოსახლეობისთვის ჰუმანიტარული დახმარების მიწოდებისა და „ჰამასის“ მძევლების გათავისუფლების მოწოდებით გამოვიდა,** — ამის შესახებ ფრანცისკემ თავის ყოველკვირეული ქადაგებისას განაცხადა.

**„ჩემი ფიქრები ყოველდღე მიემართება ისრაელსა და პალესტინაში ძალიან სერიოზული სიტუაციისკენ. მე ყველას გვერდით ვარ, ვინც იტანჯება, როგორც პალესტინელების, ისე ისრაელელების. მე მათ ამ ბნელ მომენტში ვიხუტებ და მათთვის ბევრს ვლოცულობ.**

**იარაღი უნდა გაჩერდეს, ის არასდროს მოიტანს მშვიდობას და კონფლიქტი არ უნდა გაფართოვდეს. საკმარისია, კმარა, ძმებო, კმარა! დაე, ღაზაში დაუყოვნებლივ დახმარება მიიღონ. მოქალაქეები უნდა იყვნენ დაცულები და მეტი ჰუმანიტარული ტვირთი უნდა მიეწოდოს დატანჯულ მოსახლეობას. მძევლები, რომელთა შორის ბევრი ხანდაზმული და ბავშვია, უნდა გათავისუფლდნენ!“** — განაცხადა პონტიფიკოსმა.

## ისრაელ-ჰამასის ომს, სულ მცირე, 40 ჟურნალისტი ემსხვერპლა




**„ჟურნალისტები განსაკუთრებით მაღალი საფრთხის წინაშე ღაზაში დგანან, რადგან ისინი კონფლიქტის გაშუქებას ისრაელის სახმელეთო და საჰაერო თავდასხმების, კომუნიკაციის შეფერხებისა და ელექტროენერგიის გათიშვის ფონზე ცდილობენ“, — აცხადებენ ჟურნალისტთა დაცვის კომიტეტში.**

**11 ნოემბრის მდგომარეობით მონაცემები კი ასე გამოიყურება:**

**დაღუპულია სულ მცირე 40 ჟურნალისტი, დაღუპულებს შორის 35 პალესტინელია, 4 ისრაელელი, ხოლო 1 ლიბანელი. დაშავდა 8 ჟურნალისტი. 3 ჟურნალისტი დაკარგულად მიიჩნევა გავრცელებული ინფორმაციით, დაკავებულია 13 ჟურნალისტი.**



# თუ საკითხი ომის გზით ვერ გადაწყდება, უნდა დასხდეთ და მოილაპარაკოთ...

## პრემიერ-მინისტრის გამოსვლა პანელურ დისკუსიაზე „თანამშრომლობის ასპექტები დაპირისპირებულ სამყაროში – მშვიდობის უზრუნველყოფა და უსაფრთხო სამყაროს შენება კავკასიის მაგალითზე“

**უპირველეს ყოვლისა, დიდი მადლობა. მინდა შევუერთდე ჩემს ძვირფას კოლეგასა და მეგობარს – პრემიერ-მინისტრ ფაშინიანს – მადლობის სიტყვებში და პრეზიდენტ მაკრონს მადლობა გადავუხადო ამ ფორუმის ორგანიზებისა და ჩვენი მოწვევისთვის.**

როგორც პრემიერ-მინისტრმა ახსენა, მსოფლიოში ამჟამად ბევრი კონფლიქტი და გადაუჭრელი კრიზისია. ვისზე აისახება ეს კრიზისები? ხალხზე, ჩვენს მოსახლეობაზე, ჩვენს მოქალაქეებზე.

გაურკვევლობებისა და არაპროგნოზირებადობის პერიოდში ვცხოვრობთ. ასე, მაგალითად, უკრაინაში მიმდინარე ომის მომსწრენი ვართ, რომელიც მიმდინარეა და რომლის დასასრულიც არ ჩანს. არც გამოსავალი ჩანს ჯერ.

ახლო აღმოსავლეთშიც კრიზისია, რომელიც ძალიან საშიშია. ვხედავთ გაყინულ კონფლიქტს საქართველოშიც. ვხედავთ ჩვენი ტერიტორიების ოკუპაციას და გამოსავალი არ ჩანს.

ბევრი კონფლიქტია აფრიკაში და მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში. ამიტომ, ყველა ამ კრიზისისა თუ კონფლიქტის პასუხი და გამოსავალი უნდა იყოს მშვიდობა.

ყველაფერი უნდა გავაკეთოთ მთავრობებმა მშვიდობის მისაღწევად. ამიტომ, მინდა გამოვიყენო ეს შესაძლებლობა და საქართველოს წარმატების ისტორიაზე გესაუბროთ. მინდა გითხრათ რას მივაღწიეთ ბოლო ათწლეულის განმავლობაში.

როდესაც 2012 წელს მოვედით ხელისუფლებაში, საქართველოს სტატუს-კვო იყო ასეთი: ქვეყნის 20 პროცენტი ოკუპირებული იყო. კვლავ ოკუპირებულია რუსეთის მიერ. ეს ჩვენი რეალობის ერთ-ერთი უდიდესი გამოწვევაა.

სამწუხაროდ, ომი რუსეთსა და საქართველოს შორის მოხდა 2008 წელს. 90-იან წლებში სამოქალაქო ომი გვქონდა. აფხაზეთსა და ოსეთშიც გვქონდა ომები. ეს ოკუპირებული ტერიტორიებია და მათ რუსეთის ფედერაცია უჭერდა მხარს მაშინ 90-იანი წლების დასაწყისში.

ამდენად, საქართველოს ბევრი პრობლემა და გამოწვევა უნახავს. 2008 წლის ომის შემდეგ კიდევ ერთი დიდი ომი გვქონდა, რომელიც დაიწყო უკრაინაში. ვფიქრობ, რომ ეს ყველა ჩვენგანისთვის დიდი გამოწვევაა, იმიტომ, რომ მოგვწონს თუ არა, შემდგომ ესკალაციის ან რთული სცენარების აცილებას ვეცდებით თუ არა, მას ჩვენზე მაინც აქვს გავლენა. ომს აქვს ჩვენზე გავლენა.

რა თქმა უნდა, ჩვენს რეგიონში – მეზობელ ქვეყნებში: სომხეთსა და აზერბაიჯანში – სიტუაცია ყველას გვაწუხებს. ბევრჯერ მითქვამს და ახლაც გავიმეორებ, რომ საქართველო ძალიან ობიექტური და – ვიტყოდი, რომ – მიუკერძოებელი მედიატორი, ფასილიტატორი და მეგობარია, რომელსაც ორივე ქვეყანა ენდობა. შესანიშნავი ურთიერთობა გვაქვს სომხეთთან და აზერბაიჯანთან. პირადად მაქვს ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობა ორივე ქვეყნის ლიდერთან.

ამიტომ, საქართველოს ინტერესებშია გრძელვადიანი, ხანგრძლივი მშვიდობისა და სტაბილურობის უზრუნველყოფა ჩვენს რეგიონში.

**ჩემმა მთავრობამ შეძლო უწყვეტი, უპრეცედენტო მშვიდობისა და სტაბილურობის უზრუნველყოფა ჩვენს ქვეყანაში. საქართველოს ნებისმიერი წინა ხელისუფლების პირობებში ხდებოდა ომები, კონფლიქტები, სამოქალაქო ომი, ტერიტორიების დაკარგვა.**

ეს ერთადერთი პერიოდია, როდესაც არცერთი ომი არ უწარმოებია საქართველოს. არც ტერიტორიები დაგვიკარგავს. პირიქით, ვიზრდებით, ვმდიდრდებით და ვაძლიერებთ ჩვენს ქვეყანას. ეს ისეთი რამ არის, რასაც კეთილდღეობა მოაქვს ჩვენი მოსახლეობისთვის, ჩვენი ხალხისთვის.

რა თქმა უნდა, ოკუპაციასთან დაკავშირებული გამოწვევა კვლავ არსებობს. არ გამქრალა, მაგრამ სტრატეგიული თმენის პოლიტიკა ავირჩიეთ. რატომ ვამბობ ახლა ამას? არის რაღაცები, რასაც მყისიერად ვერ მოვაგვარებთ. ხომ ასეა? ამიტომ, საჭიროა მოთმინება, გრძელვადიანი სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, რომელსაც უნდა მივყვეთ. თანმიმდევრულნი უნდა ვიყოთ ამ გეგმის შესრულებაში.

**ხალხს და, ზოგადად, მსოფლიოს ერებს სიცხადე, გარკვეულობა სჭირდება. ახლა ვერ ვხედავთ ამას. არც პროგნოზირებადობა არსებობს. არავინ იცის, რას მოიტანს ხვალინდელი დღე.**

ბოლო 10 წლის განმავლობაში საქართველომ ძალიან მიმზიდველი და შთამბეჭდავი რეფორმები განახორციელა და მიღწევები იქონია. მქონდა პატივი 2014 წელს ხელი მომეწერა ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებაზე; თავისუფალი სავაჭრო შეთანხმებაც გავაფორმეთ ევროპასთან; უვიზო მიმოსვლის რეჟიმი მოგვენიჭა ევროკავშირის ტერიტორიაზე; გასული წელიც ისტორიული აღმოჩნდა, რადგან ევროპული პერსპექტივა მოგვენიჭა; 2 დღის წინ კიდევ ერთი ისტორიული გადაწყვეტილება იქნა მიღებული ევროკომისიის მიერ. მან რეკომენდაცია გასცა ევროპული საბჭოს მიერ საქართველოსადმი კანდიდატის სტატუსის მინიჭებაზე. ეს ისტორიული მიღწევაა! რატომ? იმიტომ, რომ საქართველოს და ქართველ ხალხს, ჩემს მთავრობას და ჩვენს მმართველ პარტიას ძალიან კონკრეტული გადაწყვეტილება აქვს მიღებული, რომელიც შეუქცევადია და გულისხმობს ევროპასთან დაახლოებას; ევროკავშირის სრულუფლებიან წევრობას გულისხმობს. ამ მიმართულებით მივდივართ თანმიმდევრულად, ნაბიჯ-ნაბიჯ. ამ ეროვნულ – ასე ვთქვათ – გეგმას ვუახლოვდებით.

ამავდროულად შევძელით ჩვენი ეკონომიკის გაზრდა. გასამმაგდა ქვეყნის ეკონომიკა 2012 წლიდან. ასეა ლარის კურსის გამყარებისა და სულადობრივი მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) მიხედვით, რომლის ოდენობაც ბოლო 3 წლის განმავლობაში გაორმაგდა აშშ დოლარის დენომინაციით. ინფლაციის მაჩვენებელი ძალიან დაბალია. სომხეთთან ერთად მსოფლიოს ყველაზე სწრაფადმზარდი ეკონომიკა გვაქვს ამჟამად. ეს არ არის შემთხვევითი, რადგან კარგ დარგობრივ პოლიტიკას და ეფექტურ მმართველობას ვაწარმოებთ. სწორედ ამის გამო ძლიერი ეკონომიკური ზრდა გვაქვს ჩვენი ხალხის საკეთილდღეოდ. ყოველივე ამას მოაქვს ახალი სამუშაო ადგილები, მეტი სტაბილურობა, მეტი პროგნოზირებადობა მეწარმეებისა და ინვესტორებისთვის. ასე, მაგალითად, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები რეკორდულ მაჩვენებელზე ავიდა გასულ წელს. სიღარიბისა და უმუშევრობის მაჩვენებლები ისტორიულ მინიმუმზეა, ხოლო ქვეყნის საერთაშორისო რეზერვები – ისტორიულ მაქსიმუმზე.

ამას იმიტომ ვამბობ, რომ საქართველოში მსგავსი არაფერი მოხდებოდა მშვიდობის გარეშე. მშვიდობა გადამწყვეტია! მშვიდობა არის ის, რისკენაც ყველა უნდა ვისწრაფოდეთ. მსოფლიოს ნაკლები ომი და მეტი მშვიდობისმყოფელი სჭირდება, რადგან ამჟამად რასაც ვხედავთ ძალიან გვაწუხებს. როგორ დასრულდება ეს ომი უკრაინაში? ძალიან გვაწუხებს ის, თუ როგორ განვითარდება მოვლენები ახლო აღმოსავლეთში ან სხვაგან.

ამიტომ, საქართველო და მსგავსი ქვეყნები – სომხეთი – პატარა ქვეყნები, მაგრამ ძლიერი ერები – დაინტერესებულნი უნდა იყვნენ მშვიდობის შენარჩუნებით, სტაბილურობისა და მოსახლეობის კეთილდღეობის უზრუნველყოფით. ერი ვახსენე და აქვე უნდა ვთქვა, რომ ერთ-ერთი უძველესი ერი ვართ დედამიწაზე.

ამდენად, ჩემი მოსაზრება შემდეგში მდგომარეობს: ხალხს და, ზოგადად, მსოფლიოს ერებს სიცხადე, გარკვეულობა სჭირდება. ახლა ვერ ვხედავთ ამას. არც პროგნოზირებადობა არსებობს. არავინ იცის რას მოიტანს ხვალინდელი დღე.

ვის შეუძლია ამ ტიპის პრობლემების გადაჭრა? დიდ ქვეყნებს, დიდ ზესახელმწიფოებს. აქვე გავიმეორებ, რომ საქართველოს, სომხეთს, აზერბაიჯანს და მსგავს ქვეყნებს სჭირდებათ ნათელი ხედვა დასავლეთის დიდი სახელმწიფოებისგან. ხომ ასეა?

ამიტომ, კიდევ ერთხელ გავიმეორებ და დავადასტურებ, რომ **საქართველო დაინტერესებულია მშვიდობისა და სტაბილურობის შენარჩუნებით. აბსოლუტურად დარწმუნებულნი ვართ, რომ ნაბიჯ-ნაბიჯ, ძალიან ფრთხილი, მაგრამ გონივრული პოლიტიკით მოვახერხებთ ჩვენი ტერიტორიების დეოკუპაციას. ეს ერთადერთი არჩევანია, რაც საქართველოს გააჩნია ამჟამად.**

კიდევ ერთ რამეს მინდა გავუსვა ხაზი: ბოლო 10 წლისა და მეტის განმავლობაში არაფერი გაგვიკეთებია ჩვენი სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის ან ეროვნული ინტერესების ხარჯზე! ყველაფერს ჩვენი ხალხისთვის ვაკეთებთ! მხოლოდ იმას ვაკეთებთ, რაც საუკეთესოა ჩვენი ხალხისთვის და მომავლისთვის!

კიდევ ერთხელ მადლობა მინდა გადაგიხადოთ ამ შესაძლებლობისთვის; ჩვენ შესახებ საუბრის შესაძლებლობისთვის. კიდევ ერთხელ მადლობა მინდა გადავუხადო ორგანიზატორებს. მადლობა თქვენც მოდერაციისთვის. ბოლოს ერთ რამეს დავამატებ: 2 წლის წინ წარმატებით ჩავატარეთ რიგით პირველი მედიაცია და ამის პრეცედენტი შევქმენით პრემიერ-მინისტრ ფაშინიანთან და პრეზიდენტ ალიევთან ერთად, როდესაც აზერბაიჯანმა 15 დაკავებული პირი გაათავისუფლა საქართველოს მედიაციის გზით, ხოლო სომხეთმა მას გადასცა დანაღმული ტერიტორიების რუკები. ამდენად, საქართველოს შეუძლია ამ შედეგების მიღწევა და მიმაჩნია, რომ აქ ნდობის ფაქტორი გადამწყვეტია. როდესაც ერთი მხარე მეორეს სთავაზობს მედიატორს, მას ორივე უნდა ენდობოდეს. თუ ნდობა არ იარსებებს, არც მედიაცია იქნება წარმატებული.

და კიდევ ერთი რამ: დავოსში მაქვს ნათქვამი წლევანდელი წლის იანვარში, რომ შეიძლება მხარეები ერთმანეთს არ ენდობოდნენ, მაგრამ თანამშრომლობა უნდა შედგეს. თანამშრომლობისა და მოლაპარაკებების, მშვიდობიანი დიალოგის გარეშე არ იარსებებს მშვიდობა.

**საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობა და მეგობრული ურთიერთობა აქვს აზერბაიჯანთან. საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობა და მეგობრული ურთიერთობა აქვს ჩვენს მოძმე ერთან – სომხეთთან. ამდენად, საქართველო ვერ იქნება მიკერძოებული ამ სიტუაციაში. საქართველო ნეიტრალურია 100 პროცენტით. ვერცერთის მხარეს დავიჭერთ ამ სიტუაციაში.**

ჩემმა მეგობარმა – ნიკოლ ფაშინიანმა – ძალიან კარგად იცის ეს. ჩემმა მეგობარმა – ილჰამ ალიევმა – ძალიან კარგად იცის ეს. ამიტომ, ეს კითხვა ლიდერებს – პრემიერ-მინისტრ ფაშინიანსა და პრეზიდენტ ალიევს – უნდა დაუსვათ. ამაზე კომენტარს არ გავაკეთებდი, რადგან ნეიტრალური და მიუკერძოებელი პოზიციის დაცვა მსურს ჩვენს რეგიონში. მე მგონი, ეს სამივე ჩვენგანის ინტერესებშია.

ძალიან ნაყოფიერი შეხვედრა გვქონდა გასულ თვეს, როდესაც თბილისის აბრეშუმის გზის ფორუმს ვმასპინძლობდი. მადლობელი ვარ ჩემი მეგობრის – ნიკოლ ფაშინიანის – რომელიც საქართველოში ჩამოვიდა. აზერბაიჯანის პრემიერ-მინისტრიც ესწრებოდა ფორუმს. მიმაჩნია, რომ კარგი შესაძლებლობა შეიქმნა, რადგან სამივემ შევძელით შეკრება და საუბარი ჩვენი რეგიონის მომავლის – სამომავლო თანამშრომლობის – შესახებ. განვიხილეთ იმ სირთულეებისა და ბარიერების დაძლევის გზები, რომლებზეც პრემიერ-მინისტრმა ფაშინიანმა ისაუბრა. ვფიქრობ, რომ საქართველომ აქ უნდა შეინარჩუნოს ნეიტრალური პოზიცია. მადლობა გაგებისთვის.

კიდევ ერთხელ მინდა ვთქვა, რომ განვიცდით მსოფლიოში არსებულ კონფლიქტებს, კრიზისებსა და ომებს. კითხვის ავტორმა ახსენა ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე კრიზისი – ისრაელსა და ჰამასს შორის შექმნილი ვითარება. საქართველო მშვიდობის მხარდამჭერია. რა თქმა უნდა, რაც ხდება ტერორიზმია და ვგმობთ სამოქალაქო პირების მიმართ განხორციელებულ ტერორიზმსა და ტერორისტულ აქტებს. აქაც მინდა გავიმეორო, რაც უკვე ვთქვი დასაწყისში: მე განვაცხადე, რომ ქვეყნებს გამოსავლის პოვნა სჭირდებათ. თუ საკითხი ომის გზით ვერ გადაწყდება, უნდა დასხდეთ და დაილაპარაკოთ, მოილაპარაკოთ. ეს იქნება ჩემი ბოლო სიტყვა ამ ვითარების შესახებ. დიდი მადლობა!



## ვახტანგ ძაბირაძე:
# ხელისუფლება რომ „პრორუსია“, დასრულდა – ეს ოპოზიციის წაგებული თამაში იყო...



## ზაალ ანჯაფარიძე:
# ოპოზიცია ძირგამომთხრელ საქმიანობას მაინც გააგრძელებს

### სტატუსი 9 დათქმით EU-სგან

**საქართველოს ხელისუფლებამ უნდა განახორციელოს დეოლიგარქიზაციის მიმართულებით აღებული ვალდებულება, ეკონომიკაზე, პოლიტიკასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაზე გადაჭარბებული გავლენის აღმოფხვრის გზით – ამის შესახებ ევროკომისიის გაფართოების ანგარიშშია ნათქვამი.**

ევროკომისიის რეკომენდაციების თანახმად, საქართველომ უნდა გააგრძელოს დეოლიგარქიზაციის სამოქმედო გეგმის განვითარება და გაუმჯობესება.

რეკომენდაციები ასევე შეეხო კორუფციის წინააღმდეგ მუშაობის პროცესს.

**„საქართველომ უნდა გააძლიეროს ანტიკორუფციული სააგენტოს დამოუკიდებლობა, თავი მოუყაროს ყველა საკვანძო ანტიკორუფციულ ფუნქციას, რათა მკაცრად განიხილოს მაღალი დონის კორუფციული შემთხვევები. ახალი სპეციალური საგამოძიებო სამსახური და პერსონალური მონაცემების დაცვის სამსახური აღჭურვოს მათი მანდატის შესაბამისი რესურსებით და უზრუნველყოს მათი ინსტიტუციური დამოუკიდებლობა.**

**პარლამენტმა მიიღო კანონმდებლობა, რომელიც აძლიერებს სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო უფლებამოსილებას და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის თანამშრომლების სოციალური დაცვის შეღავათებს. 2022 წლის ODIHR-ის რეკომენდაციები სამსახურის უფროსის დანიშვნისა და თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ უნდა იქნას განხილული.**

**საქართველომ ასევე უნდა გადახედოს კანონმდებლობას ანტიკორუფციული ბიუროს, სპეციალური საგამოძიებო სამსახურისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის შესახებ, ვენეციის კომისიის რეკომენდაციების შესაბამისად“.**

საქართველოს პრემიერ-მინისტრის, **ირაკლი ღარიბაშვილის** განცხადებით, ევროინტეგრაციის გზაზე წარმატება და რეკომენდაცია ეფუძნება მიღწეულ შედეგებს და შედეგები ხელისუფლებამ დადო. როგორც ირაკლი ღარიბაშვილი ამბობს, ეს ანგარიშშიც მკაფიოდ წერია.

მისი თქმით, ქვეყნის ევროინტეგრაციის გზაზე „რადიკალურ“ ოპოზიციას არაფერი გაუკეთებია. მისი თქმით, თუკი რომელიმე ხელისუფალმა ამისთვის რაიმე გააკეთა, ეს „ქართული ოცნებაა“.

### ახალი რეკომენდაციები და როგორ გამოიყენებს მას ოპოზიცია

**ანალიტიკოსი ზაალ ანჯაფარიძე for.ge-სთან მიიჩნევს, რომ თუ გავითვალისწინებთ იმ დათქმებს და რეკომენდაციებს, რომელიც ევროკომისიის ცალკე დოკუმენტში საქართველოსთან დაკავშირებით არის მოცემული, იქ არის ისეთი მომენტები, რომელიც ოპოზიციას კვლავ მისცემს საშუალებას, რომ ეს თემები პოლიტიკური სპეკულაციებისთვის გამოიყენოს.**

ამიტომ ანალიტიკოსი ფიქრობს, რომ დადებითი პასუხის მიღების შემდეგაც, ოპოზიცია ამ თემით სპეკულაციებს ისევ გააგრძელებს.

**„ევროკომისიის მიერ მოცემულ ანგარიშში საქართველოსთან დაკავშირებით, იქ არის ისეთი საკითხები, რომელიც 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებს ეხება. ასევე საუბარია დეპოლარიზაციაზე და საგარეო პოლიტიკაზე, რომლით სპეკულირებაც ოპოზიციას ისევ შეუძლია. თუ მათ ჩათვალეს, რომ ეს რეკომენდაციები ხელისუფლების მიერ ისე არ სრულდება, როგორც მათ სურთ და წარმოუდგენიათ, ააგორებენ, რომ ხელისუფლება ამ რეკომენდაციებს კვლავ არ ასრულებს.**

**ევროკომისიამ ამ გადაწყვეტილებით მნიშვნელოვანწილად გამოაცალა მთავარი არგუმენტი, რომ ხელისუფლება „პრორუსულია“ და ა.შ. მაგრამ იქ არის ის დათქმები, რომელსაც ოპოზიციამ შეიძლება ისევ საკუთარი ინტერპრეტაცია მოუძებნოს და ისევ ის ნარატივი გააგრძელოს.**

**სხვა მეტი ოპოზიციას ხელჩასაჭიდი არაფერი აქვს. არანაირი პოზიტიური დღის წესრიგი აღარ აქვთ და ისევ ამ დღის წესრიგს გაჰყვებიან. ნუ, საზოგადოებაში ამას რამდენად ექნება დამაჯერებლობა, ეს სხვაა, მაგრამ ამ ძირგამომთხრელ საქმიანობას მაინც გააგრძელებენ. ამის ნათელი მაგალითი კი საიტი mona.ge-ია, რომელსაც ხელისუფლების გასაშავებლად იყენებენ“,** – ამბობს ანჯაფარიძე.

თუ როგორ აისახება ეს დადებითი გადაწყვეტილება 2024 წლის არჩევნებზე ხელისუფლებაზე და ოპოზიციაზე, ამაზე ანჯაფარიძე ამბობს, რომ მანამდე კიდევ წელიწადია დარჩენილი და არავინ იცის მოვლენები როგორ განვითარდება.

**„ის ახალი რეკომენდაცია, რომ საქართველოს ხელისუფლებამ ოპოზიციასთან ურთიერთობა უნდა გააუმჯობესოს, ვშიშობ ვერ შესრულდება. შესაძლოა, ამის იმიტაცია შექმნან, მაგრამ ეჭვი მეპარება. ყველაზე უფრო მტკივნეული და რთულად შესასრულებელი შესაძლოა ის რეკომენდაცია იყოს, რომ საქართველოს რუსეთის წინააღმდეგ სანქციების სრულად შეერთება მოსთხოვონ. ეს კი რთული შესასრულებელი იქნება, რადგან ჩვენი ეკონომიკა სამწუხაროდ, ჯერ ისევ რუსეთის ეკონომიკაზეა მიბმული და ჩვენი ევროკავშირი არანაირ დამცავ მექანიზმს არ გვთავაზობს. ჩვენ თუ რუსეთთან ეკონომიკურ თანამშრომლობას ნაჯახისებურად ჩავჭრით და სანქციებს დავუწესებთ, ზუსტად ისე სარკისებურად, როგორც ევროკავშირმა“,** – ამბობს ანჯაფარიძე.

### რას იზამს ოპოზიცია სტატუსის მიღების შემდეგ

**ანალიტიკოსი ვახტანგ ძაბირაძე For.ge-სთან მიჩნევს, რომ ოპოზიციამ შეცდომა დაუშვა, როდესაც თავიდანვე მთელი პოლიტიკური კამპანია და დღის წესრგი კანდიდატის სტატუსზე ააგო. ოპოზიციას ხელისუფლების წინააღმდეგ ქმედება კიდევ უფრო გაუჭირდება, რადგან ახალი თემა აქვს მოსაძებნი, რომელსაც ამდენი ხანი ვერ მიაგნო.**

**„არ ვიცი, ამის შემდეგ ოპოზიციამ რა უნდა გააკეთოს, რადგან ამდენი ხანი სხვა თემა და პრობლემა ამ ქვეყანაში ვერ იპოვეს. ფაქტია, რომ „ოცნებამ“ ყველა იმ პუნქტში მოუგო, რომელსაც ოპოზიცია მის წინააღმდეგ იყენებდა. ის, რომ ხელისუფლება „პრორუსია“ ქვეყანა რუსეთისკენ მიჰყავს, დასრულდა და ეს ისედაც წაგებული თამაში იყო. ევროპამ ამ ხნის განმავლობაში ბევრი რამე გაიაზრა და ვფიქრობ, საქართველოს შიდა პოლიტიკაში ძალიან კარგად გაერკვა. მიხვდნენ, რომ ბევრი შეცდომა დაუშვეს და ამით რუსეთის გავლენა და ინტერესები საქართველოს მიმართ კი არ შემცირდა, პირიქით – გაიზადა. ასევე, ნახეს, რომ „ოცნებამ“ პოლიტიკა კი არ შეცვალა, არამედ საკუთარ თავზე მოირგო და ხალხმა დაიჯერა, რომ კანდიდატის სტატუსის არმოცემაში ხელისუფლება კი არაა დამნაშავე, არამედ დასავლეთი.**

**ევროპაში ამ ყველაფრის ანალიზი მოხდა. დაინახეს, რომ ოპოზიცია ძალიან სუსტია და მიუხედავად მათი მხარდაჭერისა დასავლეთიდან, ვერაფერი გააკეთეს. ხალხი თავის სიმართლეში ვერ დააჯერეს. მაგალითად, სააკაშვილის თემასთან დაკავშირებით რაც მოხდა – რა რეზოლუციებიც დასავლეთმა სააკაშვილის ჯამრთელობასთან დაკავშირებით მიიღო, ამან ხალხი პირიქით გააღიზიანა. აღმოჩნდა, რომ ევროპელებს ჩვენი ოპოზიცია ატყუებდა და პირიქით, ხალხის გაღიზიანებას იწვევდა მათი განცხადებები სააკაშვილის ჯამრთელობაზე. ამ ყველაფრის გადაფასება მოხდა. ასევე გეოპოლიტიკური ფაქტორი – ძალიან რთული სიტუაციაა რეგიონში და მეორედ უარის თქმა, ქართველ ხალხში ანტიდასავლურ განწყობებს გაზრდიდა. ამიტომ სწორი გადაწყვეტილება იქნა მიღებული“,** – ამბობს ძაბირაძე.

მისივე თქმით, თუკი ოპოზიცია კვლავ ამ დღის წესრიგით გააგრძელებს ხელისუფლების წინააღმდეგ მოქმედებას, 2024 წლისთვის იმაზე მძიმე სიტუაციაში აღმოჩნდებიან, ვიდრე დღეს არიან.

**ლიკა ბერიკაშვილი**

**ისტორიული გადაწყვეტილება მიღებულია – ევროკომისიამ საქართველოს დადებითი რეკომენდაცია მისცა და ჩვენს ქვეყანას, დამატებითი დათქმებით, ევროპული ოჯახის კარი გაუღო. ხოლო საბოლოოდ გადაწყვეტილება კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მინიჭებაზე ევროპულმა საბჭომ დეკემბერში უნდა მიიღოს. საქართველოს მთავრობას ახალი საშინაო დავალება აქვს შესასრულებელი, რომელიც 9 პუნქტისგან შედგება. ევროკომისიამ „ოცნებას“ დავალებად მისცა, რომ აუცილებლად გამჭვირვალე და სამართლიანი არჩევნები უნდა ჩაატაროს; საქართველოს ხელისუფლების განცხადებები, რომელიც უკავშირდება საგარეო პოლიტიკას, უნდა იყოს ახლოს ევროკავშირის პოზიციასთან; ასევე, უნდა შეწყდეს დეზინფორმაციის გავრცელება ევროკავშირზე.**

**122 დოკუმენტში მიმოხილულია საქართველოში პოლიტიკური მდგომარეობა, სასამართლო სისტემა, ადამიანის უფლებები. ქვეყანას ერთი წელი აქვს იმისთვის, რომ ევროკავშირის წევრობისთვის მოლაპარაკებების ფანჯარა გაიღოს.**

**ამის პარალელურად, საყრდენგამოცლილმა ოპოზიციამ დაიწყო ახალი კამპანია, რომ კანდიდატის სტატუსი ევროკავშირმა მისცა ქართველ ხალხს და არა ხელისუფლებას. „ოცნება“ კი ამბობს, რომ საქართველოს ხელისუფლება ხალხის მიერ არის არჩეული და სწორედ მისი დამსახურებაა, რომ 12-პუნქტიანი რეკომენდაცია შეასრულა, რაშიც ოპოზიციას არანაირი მონაწილეობა არ მიუღია და პირიქით, ევროპარლამენტში კოლეგებს არწმუნებდნენ, რომ სტატუსი ამ ხელისუფლების პირობებში ქვეყნისთვის არ მიეცათ.**

# შეხვედრა ქართველ სტუდენტებთან

**განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის თავმჯდომარე გივი მიქანაძე იტალიაში სამუშაო ვიზიტის ფარგლებში საქართველოს საელჩოში ქართველ სტუდენტებს შეხვდა, რომლებიც საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებზე რომის, მილანის, ბოლონიის, ტრიესტეს, ფლორენციისა და პიზას უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობენ,** – ამის შესახებ ინფორმაციას პარლამენტის პრესსამსახური ავრცელებს.



შეხვედრაზე ევროკომისიის მიერ საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭების მნიშვნელობაზე ისაუბრეს. ყურადღება გამახვილდა სამომავლო ნაბიჯებზე, რომლებიც საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანებას უკავშირდება. გივი მიქანაძემ სტუდენტებს კომიტეტის მიმდინარე საქმიანობა და სამომავლო გეგმები გააცნო. კომიტეტის თავმჯდომარე ახალგაზრდებს 2024 წლის 1 იანვრიდან საჯარო სექტორში ანაზღაურებად სტაჟირებაზე და საზღვარგარეთ დიპლომირებული სტუდენტების საქართველოში დასაქმებისა და კარიერული განვითარების შესაძლებლობებზე ესაუბრა.

შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა, რა დროსაც აქცენტები გაკეთდა ქვეყნის მშვიდობიანი განვითარებისა და ეკონომიკური წინსვლის მნიშვნელობაზე. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო პროფესიულ განათლებას და იმ სიახლეებს, რაც ამ სფეროში ხორციელდება. შეხვედრა, იტალიაში საქართველოს საელჩოს მიერ იყო ორგანიზებული. შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა იტალიის რესპუბლიკაში, მალტასა და სან-მარინოში კონსტანტინე სურგულაძემ.



# მარინა კალიურანდი საქართველოს და... ევროკავშირის გადაწყვეტილებების წინააღმდეგ

**ევროკავშირის ოფიციალური მოთხოვნა არ არის რუსეთისთვის სანქციების დაწესება. ეს მოთხოვნა გააჟღერა ევროპარლამენტარმა მარინა კალიურანდმა, რომელიც სტაჟიანი ოპონენტია საქართველოს ხელისუფლების. გრძელდება ოპოზიციის ბრძოლა საქართველოს ხელისუფლებასთან და კერძოდ, ამ ოპოზიციის უცხოური ფლანგის ბრძოლა.**

**ევროპარლამენტარი მარინა კალიურანდი საქართველოს საგარეო კურსს უწუნებს და ქვეყანას რუსეთის წინააღმდეგ სანქციების დაწესებისკენ მოუწოდებს. ეს იმ ფონზე, როდესაც ევროკავშირისგან მსგავსი მოწოდება არასდროს ყოფილა. ევროპარლამენტის ზოგიერთი წევრი და მათთან უნისონში მყოფი ზოგიერთი არასამთავრობო ცდილობენ ყალბი დილემა დააყენონ – ან აწესებ სანქციებს და მიდიხარ ევროპისკენ, ან არ აწესებ და ვერ მიდიხარ ევროპისკენ.**

პარლამენტის თავმჯდომარის განცხადებით, ასეთი ტოლობა ეწინააღმდეგება ევროკომისიის მიერ გაცემულ რეკომენდაციებს, რომლის ნაწილიც არის დეზინფორმაციის წინააღმდეგ ბრძოლა, მათ შორის ევროკავშირთან დაკავშირებულ დეზინფორმაციასთან ბრძოლა. **შალვა პაპუაშვილი** განმარტავს, რომ არც ერთ შეხვედრაზე, რომელიც მას ჰქონდა ევროკავშირში, ნატოში, არსად დამდგარა მოთხოვნა, რომ საქართველომ რუსეთს სანქციები უნდა დაუწესოს, პირიქით, ყველას ესმის ის მდგომარეობა, რომელშიც საქართველო იმყოფება.

**„ქალბატონმა კალიურანდმა აღწერა კიდეც, ეს არის ყველაზე აღმაშფოთებელი, რომ ერთი მხრივ, ის აღწერს ოკუპაციის სიმძიმეს, ის, რომ სულ ახლახან ჩვენ მოქალაქე მოგვიკლეს, გაიტაცეს და იქვე აგრძელებს, რომ მიუხედავად ამ ყველაფრისა, ჩვენ უნდა გავრისკოთ ჩვენი მოქალაქეების სიცოცხლე, ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა, ჩვენი მოსახლეობის კეთილდღეობა, თუ გვინდა ევროპა. ასეთი ტოლობის დასმა და ასეთი პირობების დაყენება არ ვიცი რაში ჯდება.**

**რამდენიმე „ენჯეოს“, ოპოზიციის წარმომადგენელი და მათი მოკავშირეები საზღვარგარეთ ცდილობენ დაამკვიდრონ დეზინფორმაცია, თითქოს ევროპა გულისხმობს მოქალაქეების სიცოცხლის გარისკვას, ტერიტორიული მთლიანობისა და სამხედრო კონფლიქტის რისკში შესვლას და ეკონომიკური კეთილდღეობის გარისკვას. პირიქით, ევროპა, ეს არის მშვიდობისა და სოლიდარობის პროექტი. მოვუწოდებ მათ, გაემიჯნონ ასეთ დეზინფორმაციას და არ გაავრცელონ ანტიევროპული განცხადებები“,** – აღნიშნა **შალვა პაპუაშვილმა.**

ევროპარლამენტარ მარინა კალიურანდის პასუხობს პარლამენტის ევროინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე **მაკა ბოჭორიშვილი.**

**„მე ვიკითხავ მაშინ – აქვს საქართველოს ამის შესაძლებლობა? სანქციების დაწესება რუსეთისათვის იქნება უკუშედეგის მატარებელი ჩვენი ქვეყნისთვის და თუ ვინმეს ეს მიზანი ამოძრავებს, მაშინ ისიც უნდა თქვას ცხადად. ეს მოწოდებები ვისგანაც ისმის, ნამდვილად ვერ ვუწოდებ მათ საქართველოს მეგობრებს. ვერ ვიტყვი, რომ კარგად აცნობიერებენ რა ხდება და რა საფრთხეების წინაშე დგას ქვეყანა.**

**როდესაც ამ საკითხს ზოგიერთები აბამენ კიდევ კანდიდატის სტატუსს და ევროკავშირში ინტეგრაციას, ეს საერთოდ წარმოუდგენელია. მაშინ, როდესაც დსთ-ს წევრ ქვეყანას მიენიჭა კანდიდატის სტატუსი, მსგავს საკითხებზე აპელირება და სპეკულაცია არის აბსოლუტურად ზედმეტი და მიმართულია ერთადერთი მიზნისკენ, რომ როგორმე ხელი შეეშალოს საბჭოს გადაწყვეტილებას საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით“,** – აღნიშნა **მაკა ბოჭორიშვილმა.**

მარინა კალიურანდის პოზიციას იზიარებენ ოპოზიციაში და მიაჩნიათ, რომ რუსეთისათვის სანქციების დაწესებას დასავლეთი არ ითხოვს, არამედ მთავარი მოთხოვნაა საქართველო არ იყოს მონაწილე სანქციების გვერდის ავლაში და რუსეთის მხარდაჭერაში. „ნაციონალური მოძრაობის“ წევრი **თინა ბოკუჩავა** აცხადებს, რომ, უსაფრთხოების რისკების გათვალისწინებით, შესაძლებელია, რომ საქართველომ რუსეთს სანქციები დაუწესოს.

**„სანქციების ნაწილშიც, დამერწმუნეთ, შესაძლებელია, ამ რთული, მაგრამ მნიშვნელოვანი ბალანსის დაცვა. იმისთვის, რომ, ერთი მხრივ, ჩვენი საგარეო პოლიტიკა თანხვედრაში იყოს ევროკავშირის პოლიტიკასთან და გაცხადებულ მიზნებთან რუსეთის ფედერაციასთან მიმართებაში და, მეორე მხრივ, დავიცვათ ჩვენი ქვეყნის ეროვნული ინტერესები, ჩვენი ქვეყნის ტერიტორიების 20%-ის ოკუპაციიდან გამომდინარე“,** – ამბობს **თინა ბოკუჩავა.**

„სტრატეგია აღმაშენებლის“ წევრი **პაატა მანჯგალაძე** კი აცხადებს, რომ ცალკეულ ევროპარლამენტარს შეიძლება ჰქონდეს განსხვავებული პოზიცია, თუმცა ეს, რეკომენდაციის სახით, ასე მკაცრად მოთხოვნილი არ ყოფილა ევროპისგან.

ევროპარლამენტარის და ოპოზიციის პოზიცია მიუღებელია ექსპერტ **ვაჟა ბერიძისთვის,** რომლის განცხადებით, საინტერესო იქნება ევროპარლამენტართან ქართველი პოლიტიკოსების დისკუსია და არა თანამოაზრეებთან ქართული ოპოზიციური სპექტრიდან, რომელიც მისი თქმით, იჩემებს ევროპელ პოლიტიკოსებთან მეგობრობას და მონოპოლიას იმ კუთხით, თითქოს მარტო მათ აქვთ ურთიერთობა.

**„ყველაფერი გახდა პროპაგანდის ნაწილი და ყველა თავისას იჩემებს. აქედან გამომდინარე, კალიურანდის შეხედულებასაც სხვადასხვა რაკურსით უნდა შეხედვა. რაც შეეხება სანქციების თემას, საქართველო სანქციებთან მიმართებაში, თითქმის იმავე პოზიციაზეა, რაზეც ევროკავშირი და მისი წევრების უმრავლესობა. ვერ ვხედავ განსხვავებას მიდგომებს შორის, მაგრამ რატომღაც ვისაც ეს სჭირდება პოლიტიკური მათრახის გადასაკრავად საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებაზე, გვეუბნებიან სანქციებს არ შეუერთდითო. არადა სანქციების რეჟიმის დაცვის თვალსაზრისით, საქართველო სანიმუშო ქვეყანაა“,** – აცხადებს **ბერიძე.**

როგორც ექსპერტი ამბობს, საქართველოს გახსნილი აქვს ყველა მაკონტროლებელი სტრუქტურა საერთაშორისო დამკვირვებლებისთვის. გარდა ამისა, ეროვნულმა ბანკმა მრჩევლებად აიყვანა უცხოელი სპეციალისტები, რომლებსაც ბევრ დასავლურ სტრუქტურებში მუშაობის გამოცდილება აქვთ, რაც ადასტურებს იმას, რომ დახურული არაფერია იმ თვალსაზრისით, რომ სანქციების რეჟიმი დაცული იქნას და საქართველომ, ნებსით თუ უნებლიეთ, ხელი არ შეუწყოს სანქციების რეჟიმის დარღვევას და ხელი არ შეუწყოს რუსეთს სანქციების გვერდის ავლაში.

პოლიტოლოგ **რამაზ საყვარელიძის** განცხადებით, ევროკავშირის ოფიციალური მოთხოვნა არ არის რუსეთისთვის სანქციების დაწესება. ეს მოთხოვნა გააჟღერა ევროპარლამენტარმა მარინა კალიურანდმა, რომელიც სტაჟიანი ოპონენტია საქართველოს ხელისუფლების. როგორც პოლიტოლოგი აცხადებს, გრძელდება ოპოზიციის ბრძოლა საქართველოს ხელისუფლებასთან და კერძოდ, ამ ოპოზიციის უცხოური ფლანგის ბრძოლა.

**„ჩვენ ხომ ოპოზიცია ორი ფლანგით გვებრძვის – შიდა ოპოზიცია და გარე ოპოზიცია. ოპოზიციამ სახელდახელოდ გააკეთა განაცხადი, რომ კანდიდატის სტატუსს იმსახურებს ხალხი და არა მთავრობაო. ახლა ამ ხაზს მიჰყვება ქალბატონი კალიურანდი, რომელიც საგარეო კურსს გვიწუნებს. თუ მოინდომეს, ყველაფერს დაგვაბრალებენ და მონდომებაშია ძაღლის თავი დამარხული. ეს მოვლენაც, რაც მოხდა და ყველამ გავიხარეთ, ესეც მონდომების შედეგი იყო. მოინდომეს რომ საქართველო ჩაეყენებინათ იმ რეჟიმში, რაშიდაც არის უკრაინა და მოლდოვა.**

**ადრე, უბრალოდ, არ მოინდომეს და მიიღეს პოლიტიკური გადაწყვეტილება. ის მოთხოვნები, რაც ჩვენ წამოგვიყენეს, ასევე წაუყენეს უკრაინას და მოლდოვას, მაგრამ მათ უთხრეს, რომ თქვენ მერე გამოასწორეთო, ხოლო ჩვენ ამის გამო კანდიდატობაზე უარი გვითხრეს. ასე რომ, მონდომებაზეა ყველაფერი. ზრდილობიანად ამას ვეძახით პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს, მაგრამ რეალურად ეს არის სურვილის მიხედით გადაწყვეტა“,** – აცხადებს პოლიტოლოგი.

მისი თქმით, სწორედ სურვილის მიხედვით აგრძელებენ ევროპარლამენტარები საქართველოს ხელისუფლებასთან ოპოზიციაში ყოფნას, მაგრამ ეს არაა მთლიანი ევროპა. რაც შეეხება მთლიან ევროპას, პოლიტოლოგის განცხადებით, თუკი მათ ენდომებათ კრიტიკული იყვნენ, აჰყვებიან მათი კოლეგების განცხადებებს, მაგრამ თუკი მათ ენდომებათ, რომ საქართველო შეინარჩუნონ, მაშინ ყურადღებას არ მიაქცევენ.

**თამთა ქარჩავა**

# რუსეთისთვის სანქციების დაწესება ჯერ

**ევროკომისიამ საქართველოს დადებითი რეკომენდაცია დამატებითი დათქმებით მისცა. „ოცნებაში“ ამბობენ, რომ ახალ დათქმებს სრულად ვერ შეუერთდებიან, რადგან ევროკომისიის მიერ შემოთავაზებულ 9 დათქმაში ჩვენი ქვეყნისთვის რამდენიმე უხერხული მომენტია და არსებობს ისეთი რეზოლუციები, რომელშიც სრული თავსებადობა ვერ იქნება.**

**„ევროკავშირთან უსაფრთხოების პოლიტიკის თავსებადობაზე, ეს დათქმა რეზოლუციების შეერთებას ეხება და სანქციებს. ჩვენ ვიმუშავებთ, რაზე შეგვიძლია მიერთება. სამწუხაროდ, იქ არის ჩვენი ქვეყნისთვის რამდენიმე უხერხული მომენტი, მაგალითად, არსებობს ისეთი რეზოლუციები, რომელშიც სრული თავსებადობა ვერ გვექნება და ვერ შევუერთდებით“,** – ამბობს **გექა დავითულიანი.**

**ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მისანიჭებლად, კომისიამ საქართველოს თავდაპირველად 12 რეკომენდაცია განუსაზღვრა. ახლა კი, სტატუსის შესახებ რეკომენდაციის გაცემასთან ერთად, კომისიამ საქართველოსთვის 9 დათქმა შეიმუშავა: საარჩევნო სისტემის გაუმჯობესება; პოლარიზაციის შემცირება; სასამართლო რეფორმა; საპარლამენტო ზედამხედველობის გაუმჯობესება...**

საქართველოსთვის განსაზღვრული ცხრა პირობიდან ნაწილი აგრძელებს 2022 წლის ივნისში ევროკომისიის მიერ გაცემულ 12 რეკომენდაციას, ზოგიერთი კი სრულიად ახალია.

მაგალითად, ახალია დათქმა ევროკავშირისა და მისი ღირებულებების შესახებ დეზინფორმაციასთან და უცხოურ საინფორმაციო მანიპულაციებთან ბრძოლაზე.

ასევე ახალია, ის დათქმაც, სადაც ევროკომისია ყურადღებას ამახვილებს საჭიროებაზე, რომ საქართველომ თავისი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა ევროკავშირისას დაუახლოვოს.

ანალიტიკოსი **გია აბაშიძე** for.ge-სთან ამბობს, რომ ევროკომისიის მიერ დაწესებულ ახალ რეკომენდაციებს რაც შეეხება, ბევრი მათგანი საქართველოს ხელისუფლებას უკვე შესრულებული აქვს და ზოგიც შესრულების პროცესშია. მისი თქმით, რაც შეეხება დეზინფორმაციის გავრცელებას და მათთან ბრძოლას, ეს არის საყოველთაო სენი, რომელიც გაეროს ერთ-ერთმა მნიშვნელოვანმა სააგენტომ შეაფასა. აბაშიძე ამბობს, რომ „იუნესკოს“ კვლევის მიხედვით მსოფლიოს მოსახლეობის 81% ამბობს, რომ დეზინფორმაციის მსხვერპლია.

**„გავიხსენოთ, რა მოხდა სულ ცოტა ხნის წინ მაუწყებლობის შესახებ კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ. ევროკავშირმა და თავად ევროკავ-**





## რამაზ საყვარელიძე:
# კარგი აზრის ვარ სალომე ზურაბიშვილზე და ვფიქრობ, ის მიხვდება, რომ გავლენისთვის არ უნდა იბრძოლოს

**საქართველოსთვის ევროკომისიამ ისტორიული გადაწყვეტილება მიიღო – დამატებითი დათქმით, ჩვენს ქვეყანას ევროპის კარი გაუღო. ასეთი მნიშვნელოვანი მოვლენის დროსაც კი საქართველოს პრეზიდენტმა და პრემიერმა საერთო ენა ვერ გამონახეს და ცალ-ცალკე ულოცავდნენ ქვეყანას ისტორიულ დღეს.**

**სალომე ზურაბიშვილსა და ირაკლი ღარიბაშვილს შორის შავმა კატამ დიდი ხნის წინ გაირბინა და შერიგებას არც ცდილობენ. ქვეყნის ლიდერების „ბუტიაობას“ ფსიქოლოგი და ანალიტიკოსი რამაზ საყვარელიძე for.ge-თან საუბრისას განმარტავს.**

**– ევროკომისიამ რეკომენდაცია გასცა, რომ საქართველოს კანდიდატის სტატუსი მიენიჭოს. ამ მნიშვნელოვან დღესაც და მანამდეც, პრემიერი და პრეზიდენტი საერთო ენის გამონახვას ვერ, თუ არ ახერხებდნენ და ერთ მაგიდასთან არ სხდებოდნენ. როგორც ფსიქოლოგი, როგორ შეაფასებდით ირაკლი ღარიბაშვილისა და სალომე ზურაბიშვილის „ბუტიაობას“?**

– შეიძლება სხვა ფსიქოლოგებმა თქვან: ირაკლი ღარიბაშვილს ისე მოსწონს სალომე ზურაბიშვილი, რომ გულგრილად მასთან დაჯდომა არ შეუძლია. ახლა, ჩვენი დასავლელი პარტნიორებისგან გავიგეთ, რომ თურმე ყველას ყველა უნდა გვიყვარდეს. სამწუხაროდ, ასე არ არის. დღეს ძალიან ხშირად ადამიანები ერთმანეთთან ურთიერთობით კმაყოფილები არ არიან. რატომღაც ევროპა გვავალდებულებს, რომ გინდა თუ არა, ყველასთან იმეგობრეთო.

ეს რაღაც საბჭოთა პერიოდის სულისკვეთებას მაგონებს, როდესაც საბჭოთა იდეოლოგიიდან გამომდინარე, ერთ ერს მეორე ერი უნდა ჰყვარებოდა. ქვეყანაში ასეთი სავალდებულო სიყვარულები აღარ არის, ამიტომ ეს არის ძირითადი მიზეზი, რომ პრემიერმა და პრეზიდენტმა თავს უფლება მისცეს არ იყვნენ ერთმანეთის მიმართ ერთიან სამუშაო პროცესში ჩაბმულნი. მათ თანამდებობა ამას არ ავალდებულებთ. ეს შეიძლება კეთილი ნება ყოფილიყო, მაგრამ არ აქვთ კეთილი ნება.

**– შეიძლება ითქვას, რომ მათი ქმედება არის ლიდერობისკენ მისწრაფება, სადაც ლიდერობის ინტერესები ერთმანეთს ეჯახება?**

– მეეჭვება, რადგან **სალომე ზურაბიშვილი** გონიერი ქალია. მას შეფასების დრო ჰქონდა, რომ დაენახა მისი ამომრჩეველი რეალურად მისი კი არა, „ქართული ოცნების“ ამომრჩეველი იყო. **ბიძინა ივანიშვილმა** გადაწყვიტა ამ ფიგურის პრეზიდენტად დანახვა და ამიტომ გახდა ის პრეზიდენტი. მეეჭვება, რომ ზურაბიშვილი ლიდერობას ედავებოდეს ღარიბაშვილს. აქ უფრო ჯიუტობის საკითხია – რომელმა უფრო მეტად უნდა დათმოს, ან რომელი უფრო ჯიუტი აღმოჩნდება.

**– გასაგებია, რომ პრეზიდენტი დღეს მთავრობის გვერდით არ დგას, მაგრამ კონსენსუსამდე როგორ შეიძლება მივიდნენ?**

– დაახლოებით ეს სულისკვეთება დევს ევროპელების მოთხოვნაში, რომ გინდა თუ არა, გიყვარდეთ ერთმანეთიო. მაგრამ, ეს რეალისტური მოთხოვნა არაა. უამრავი ქვეყანაა, სადაც პრეზიდენტები და პრემიერები ერთმანეთს ეჭიდავებიან გავლენების გამო. უბრალოდ, ძალიან კარგი აზრის ვარ **სალომე ზურაბიშვილზე** და ვფიქრობ, ის მიხვდება, რომ გავლენისთვის არ უნდა იბრძოლოს.

# შეიძლებოდა თუ არა კირბალის ტრაგედიის თავიდან აცილება?!

**სოფელ კირბალთან მდებარე ლომისას ტაძართან დატრიალებული ტრაგედიის შემდეგ აქტუალური გახდა შეკითხვა, შეიძლებოდა თუ არა უბედურების თავიდან აცილება?! როგორც წესი, ყოველი ასეთი შემთხვევისას შელახული ეროვნული თავმოყვარეობა რადიკალიზაციისკენ უბიძგებს ადამიანებს და ჩნდება მოწოდებები, რომ ოკუპანტებმა საკადრისი უნდა მიიღონ.**

თუმცა არის ცალკეული შემთხვევები, როცა მავანნი პოლიტიკური სპეკულაციისთვის იყენებენ ადამიანების პირად ტრაგედიას, რაც ოპოზიციონერი პოლიტიკოსების „ხელობად“ იქცა. ამ დღეებში სხვადასხვა რეკომენდაციას ვისმენთ პოლიტიკოსებისგან, თუ არაპოლიტიკოსებისგან.

**„ყველას, ვინც კირბალში ცხოვრობს, უნდა მიეცეს ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების ნებართვა, რომ როგორმე თავი დაიცვან“,** – მიიჩნევს **პაატა ბურჭულაძე**.

**„ჩვენ რომ თავმოყვარე ერი ვიყოთ, უნდა შევიკრიბოთ და ეს გმირი კაცი იმ ეკლესიის ეზოში დავკრძალოთ, სადაც ის მოკლეს“,** – წერს სოციალური ქსელის ერთ-ერთი მომხმარებელი.

## როგორ უნდა გავმიჯნოთ ერთმანეთისგან პროვოკაციული და გულანთებული მოწოდებები, რაც ამ დღეებში გვესმის?!

ანალიტიკოსი **ვახტანგ მაისაია** მიიჩნევს, რომ, ცხადია, არავინ ითხოვს ომის დაწყებას, მაგრამ ჩვენ თუ ვართ ეროვნული სახელმწიფო, სუვერენიტეტის მქონე აქტორი, მაშინ ასეთ ფაქტებს მშვიდად არ უნდა შევხვდეთ. თუ თამაზ გინტურის მკვლელობას თვალი მოვუხუჭეთ, მაშინ თავდაცვის ძალები უნდა გავაუქმოთ და მხოლოდ პოლიცია დავტოვოთ.

ვახტანგ მაისაიას განმარტებით, ქვეყანაში უნდა იყოს სამხედრო პოლიტიკა და თავდაცვის ძალებს უნდა ჰქონდეს თავიანთი ძალა. თავდაცვის ძალები თუ გვყავს, შეიყვანონ კონფლიქტის ზონაში, განათავსონ და ჩააყენონ ე.წ. ჩეკ პოინტებში, საკონტროლო წერტილებში, რომ ვიღაც თავხედმა რუსმა და ვიღაც ოსმა სეპარატისტმა ვერ გაბედოს უპატრონოდ ხმის გაცემა.

**„სამწუხაროდ, ეროვნული უსაფრთხოების საბჭო გაუქმდა, ასევე, გაუქმდა სხვა მაკოორდინირებელი სტრუქტურები. არ ხდება თავდაცვის პოლიტიკის ნორმალური დაგეგმვა და განხორციელება, ელემენტარულად, უნდა აღკვეთილიყო ასეთი თავხედური პროვოკაციები, ჩვენს ხელთ არსებული დღევანდელი პოტენციალითაც კი შეიძლებოდა თამაზ გინტურის გადარჩენა. პოლიციელები დგანან კონფლიქტის ზონაში, პოლიციელს რა უნდა ამ ზონაში? როდესაც იქ რუსების საოკუპაციო ძალების მხრიდან მთელი საარმიო ნაწილები დგას, პლუს კიდევ, ოსების სამხედრო ფორმირებების მობილიზაციაა, ასეთ დროს ქართულმა პოლიციამ რა უნდა გააკეთოს? ამიტომაც გვიყურებენ არასერიოზულად და გვექცევიან ისე, როგორც არიფებს“,** – აცხადებს **ვახტანგ მაისაია**.

რაც შეეხება პაატა ბურჭულაძის განცხადებას, რომ სოფელ კირბალის მოსახლეობას ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების უფლება უნდა ჰქონდეს, ვახტანგ მაისაია აცხადებს, რომ უმჯობესია, პაატა ბურჭულაძემ მიხედოს თავის პროფესიას და ოპერაში იმღეროს. ვახტანგ მაისაიას თქმით, ბურჭულაძე მისთვის ავტორიტეტი არაა, როგორც ოპერის მომღერალს, პატივს სცემს, მაგრამ სამხედრო საქმეში ბურჭულაძე ნულია.

**„ვინც არიან ამ დარგის სპეციალისტები, მათ მოჰკითხონ ჭკუა ამ კოლექტიურმა პინოქიოებმა. შეიარაღების გაცემა კირბალელებზე როგორ შეიძლება, ეს ხომ იდიოტობაა. სახელმწიფომ უნდა გამოიჩინოს პოლიტიკური ნება, სახელმწიფოს პრეროგატივაა სამხედრო პოლიტიკის მართვა. თავდაცვის სტრატეგია შედგება სამი კომპონენტისაგან: სამხედრო სტრატეგია, თავდაცვის პოლიტიკა და სამხედრო პოლიტიკა. კირბალის ტრაგედიაც უშუალოდ სამხედრო პოლიტიკის ნაწილია. არ ვიცი, სად უნდა დაკრძალონ თამაზ გინტური, ეს მისი ოჯახის გადასაწყვეტია, მაგრამ არ შეიძლება დაკრძალვის პოლიტიზება“,** – მიიჩნევს **ვახტანგ მაისაია**.

ანალიტიკოს **გია აბაშიძის** შეფასებით, პაატა ბურჭულაძე პოლიტიკურ სიბრტყეში წარმოადგენს არარაობას, მაგრამ იგივე არ ითქმის ბურჭულაძის პროფესიონალურ სიბრტყეზე, ანუ როგორც მომღერალზე.

**„პაატა ბურჭულაძე ნაცმარგინალია პოლიტიკურ სიბრტყეში, რომელიც ახლაც დესტრუქციული მესიჯის აწევას ცდილობს. ეს პირდაპირი პროვოკაციაა, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს სამშვიდობო პოლიტიკას, რომელიც შეთანხმებულია ჩვენს ევროპელ პარტნიორებთან. ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებასა და ასეთ სისულელეებზე ლაპარაკს, უჯობს, იაროს დავით ქაცარავასთან ერთად ე.წ. პატრულირებაზე, იმ პატრულირებაზე, რომელსაც დღემდე ყურადღებას არ აქცევს ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია. 2008 წლიდან მოყოლებული, ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ერთი თანამშრომელიც კი არ შეხვედრია დავით ქაცარავას, რადგან იციან, როგორი თვითმომხვეჭელია“,** – აცხადებს **გია აბაშიძე** ჩვენთან საუბრისას და მიიჩნევს, თუ სად უნდა დაიკრძალოს თამაზ გინტური, ეს მისი ოჯახისა და ადგილობრივი ეპარქიის გადასაწყვეტია.

**მანანა ნოზაძე**




# თავად ევროპამ და ამერიკამ შეასრულოს!

**შირის ელჩმა თქვა, რომ ეს არის ევროკავშირის სტანდარტი, მაგრამ ვითომ პროდასავლურმა ოპოზიციამ ეს აღიარა ერთგვარ ცენზურად და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვად. აქედან გამომდინარე, ისმის ლოგიკური კითხვა – ვინ არის დასავლეთის მხარეს და ვინ არის ბნელეთის მხარეს? არ შეიძლება, რომ ევროპულ რეგულაციებს უწოდო ცენზურა და ამ დროს, საკუთარ თავს პროდასავლურ ძალად ტირაჟირებდე. რაც შეეხება სხვა ე.წ. დათქმებს და რეკომენდაციებს, აქ ძალიან საყურადღებოა ის დეტალი, სადაც საუბარია საარჩევნო პროცესის მეტ გამჭვირვალობასა და დემოკრატიაზე.**

**აქ ისმის კითხვა – წინა არჩევნები, რომლებიც ავტორიტეტულმა საერთაშორისო ორგანიზაციებმა აღიარეს, როგორც თავისუფალი და ლეგიტიმური, არადემოკრატიულად ჩატარდა? რა თქმა უნდა, – არა. თუმცა, მომავალ წელს იქნება უპრეცედენტოდ ახალი შტრიხი ქართულ არჩევნებში შემოტანილი, რასაც ელექტრონულად ხმის მიცემა ჰქვია. ელექტრონული ხმის მიცემა არ გულისხმობს არანაირად ინტერნეტთან, საარჩევნო ყუთებთან კავშირს, მით უმეტეს დათვლისას. ეს არაერთხელ გვაჩვენა ცესკომ, რომ სისტემა უკიდურესად გამართული და უაღრესად დემოკრატიულია. ხოლო სადღაც საღამოს, მერე, წინასწარი შედეგები ვიცით, რომელიც ნებისმიერ დესტრუქციულ ე.წ. ეგზიტპოლებს აქარწყლებს“,** – ამბობს **აბაშიძე**.

რაც შეეხება მეორე ახალ რეკომენდაციას, სადაც ევროკომისია ასევე ყურადღებას ამახვილებს საჭიროებაზე, რომ საქართველომ თავისი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა ევროკავშირისას დაუახლოვოს, აბაშიძე ამბობს, რომ თუკი ამაში საქართველოს მხრიდან რუსეთისთვის სანქციების დაწესება იგულისხმება, მაშინ ეს ჯერ თავად ევროპამ და ამერიკამ უნდა შეასრულოს.

**„ვინ გვთხოვს სანქციების დაწესებას რუსეთისთვის – ევროპა და ამერიკა? მათ რუსეთთან მილიარდიანი კონტრაქტები აქვთ, როგორც სანქციების გვერდის ავლით, ასევე სანქციების თავხედურად უგულებელყოფით. საქართველოს ერთი წლის ნავაჭრის მიხედვით არა აქვს ის მაჩვენებლი, რაც დასავლეთს რუსეთთან ერთი დღის განმავლობაში აქვს.**

**ეს ძალიან დიდი ფარისევლობაა. საგარეო პოლიტიკა რასაც ეხება, საქართველომ განაცხადა, რომ აქვს მულტივექტორული პოლიტიკა, რათა ქვეყნის მშვიდობა და სტაბილურობა შეინარჩუნოს.**

**რუსეთთან და ჩინეთთან გვედავებიან ურთიერთობას? მოდი, გადავხედოთ რა ხდება პეკინში, როდესაც იქ დასავლელი ლიდერები პრეზიდენტ სიძინპინთან ურთიერთობის ნორმალიზებას ცდილობენ და ვაჭრობის კიდევ უფრო გაფართოვებას ითხოვენ. ამიტომ არ შეიძლება ასეთი თვალთმაქცური გზავნილებით საქართველოს მოქალაქეები ვინმემ მოატყუოს.**

**ჩვენი მოსახლეობა იმაზე უფრო მეტად არის გათვითცნობიერებული გეოპოლიტიკაში, ვიდრე ცალკეული ევროპელი პოლიტიკოსი. გასაგებია ე.წ. დათქმები, მაგრამ საქართველო ახორციელებს რეფორმებს“,** – ამბობს **აბაშიძე.**

მისივე თქმით, „ოცნების“ ხელისუფლებამ ევროპული მისწრაფებები საქართველოს კონსტიტუციაში ჩაწერა, ამიტომ კანდიდატის სტატუსი ქართველ ხალხთან ერთად ხელისუფლებამაც დაიმსახურა, რომელიც ყველა წინააღმდეგობის მიუხედავად 12 რეკომენდაციას მაინც ასრულებდა.

**ლიკა ბერიკაშვილი**

# მეცნიერების საერთაშორისო დღე და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის დაუვიწყარი 10 ნოემბერი



**წლევანდელ 10 ნოემბერს, მეცნიერების საერთაშორისო დღეს, განსაკუთრებული მნიშვნელობა შესძინა საქართველოს პატრიარქის გულითადმა და სულიერი სიწმინდით სავსე მილოცვამ ქართველი მეცნიერებისა და, კონკრეტულად, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისადმი.**

ილია მეორის მისალმება დარბაზს გააცნო პატრიარქის მოსაყდრემ, მეუფე შიომ (მუჯირმა), რომელსაც დიდ საეკლესიო-სახალხო მსახურებასთან ერთად, კალამიც ემარჯვება და საიმედო სამეცნიერო-პუბლიცისტური აზროვნებაც. ეჭვგარეშეა, რომ ჩვენმა ბრძენმა პატრიარქმა, ჩვენმა ცოცხალმა წმინდანმა ილია მეორემ ამიტომაც აირჩია ის თანამოსაყდრედ.

ერთობ შთამბეჭდავი მილოცვით გაახარა თანამედროვე ქართული მეცნიერების მთავარი შტაბი საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა, რომელმაც მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას სამართლიანად უწოდა ქვეყნის დღევანდელი მთავრობის სამეცნიერო მრჩეველი:

„საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, როგორც საქართველოში წარმოებული მეცნიერული კვლევების კოორდინატორი და საქართველოს მთავრობის სამეცნიერო მრჩეველი, ყოველწლიურად აღნიშნავს ამ დღეს და ამასთან დაკავშირებით, ტრადიციულად, დამსახურებულ მეცნიერებს აჯილდოებს გამოჩენილ მეცნიერთა სახელობის აკადემიური პრემიით. ვულოცავ დღევანდელ დაჯილდოებულებს, ყველა ქართველ მეცნიერს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას პროფესიულ დღეს და ნაყოფიერ სამეცნიერო მოღვაწეობას ვუსურვებ," – წერს ბატონი ირაკლი ღარიბაშვილი.

ქართველ მეცნიერთა, ქვეყნის სულიერ მოღვაწეთა და აღმასრულებელი ხელისუფლების ერთობის სანიმუშო მაგალითი იყო მეცნიერების მსოფლიო დღისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე აკადემიის პრეზიდენტის, აკადემიკოს როინ მეტრეველის შეფასებები და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილის ნოდარ პაპუკაშვილის გამოსვლა.

პრეზიდენტმა და მინისტრის პირველმა მოადგილემ ხაზი გაუსვეს იმ გარემოებას, რომ „ქართული ოცნების" ხელისუფლება ყოველწლიურად ზრდის განათლებისა და მეცნიერების სფეროთა დაფინანსებას, რადგანაც წელში გამართული განათლების გარეშე არ არსებობს მაღალი მეცნიერება და განვითარებული მეცნიერების გარეშე არ არსებობს ქვეყნის წინსვლა, რეფორმირება და აღორძინება...

საქართველოში ტექნიკური მეცნიერების უდიდეს ტრადიციებზე მოკლედ ისაუბრა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა დავით გურგენიძემ და ეროვნულ აკადემიას გადასცა ლეგენდარული გიორგი ნიკოლაძის (დიდი ნიკო ნიკოლაძის შვილის) სრულიად ახალგაზრდულ ასაკში შექმნილი „პირდაპირი გამრავლების და გაყოფის ელექტრული არითმომეტრი", რომლის ზუსტი, რეკონსტრუირებული ასლიც ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის მეცნიერებმა შექმნეს.



თითოეული ქართველისთვის საგულისყუროა იმის ხაზგასმაც, რომ გიორგი ნიკოლაძეს აუგია თავისი არითმომეტრის ფიზიკური მოდელი, რომელიც დღეს დაკარგულად ითვლება. ტექნიკური უნივერსიტეტის მკვლევარები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ გიორგი ნიკოლაძე არითმომეტრის მოდელის აგებას მხოლოდ 1929 ან 1930 წელს შესძლებდა! ამიტომაც, სრულიად მიზანშეწონილია, რომ საქართველოში კომპიუტერული ტექნოლოგიების განვითარების ათვლის თარიღად 1930 წელი მივიჩნიოთ!..



მეცნიერების მსოფლიო დღე წლეულს „მეცნიერების მიმართ ნდობის ამაღლებას" მიეძღვნა.

სწორედ ქართველი ხალხის ნდობის, საყოველთაო თანადგომის, დღევანდელი და მომავალი ხელისუფლებების მთავარი სამეცნიერო მრჩევლის ფუნქციების განმტკიცების იდეა იყო მთავარი მამოძრავებელი ძალა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტის, აკადემიკოს როინ მეტრეველის სურვილისა, რომ წლევანდელი მეცნიერების დღე ასე მასშტაბურად აღნიშნულიყო. თუმცაღა, მთავრობის და სამეცნიერო წრეების ერთობლივი შეთანხმებით, ქვეყანას ძალიან მალე ექნება კონკრეტულად ქართული მეცნიერების დღეც! ამ დღეს ეროვნული აკადემია კონკრეტულ პროექტებს მიუძღვნის.

ქართული მეცნიერების აღორძინების, ნდობის ამაღლების აუცილებლობაზე საოცრად დამაჯერებლად ილაპარაკეს აკადემიკოსმა თინა სადუნიშვილმა და ვიდეოეთერით საკუთარი ბინებიდან ჩართულმა საუკუნეს მიღწეულმა ენათმეცნიერმა მზექალა შანიძემ და ქართული ისტორიოგრაფიის რაინდმა დავით მუსხელიშვილმა.

ეროვნული აკადემიის აკადემიკოს მდივანმა, აკადემიკოსმა ლადო პაპავამ დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა სხვადასხვა დარგში მოღვაწე დამსახურებული მეცნიერები, რომლებიც საგანგებოდ ამ დღისთვის, აკადემიის პრეზიდიუმის დადგენილებით, სახელობითი აკადემიური პრემიებით დაჯილდოვდნენ:

**ივანე თარხნიშვილის სახელობის** პრემია მიენიჭათ – მედიცინის მეცნიერებათა დოქტორებს **მანანა ივერიელსა** და **ნინო აბაშიძეს,** მედიცინის აკადემიურ დოქტორებს **ხატია გოგიშვილსა** და **ნინო გოგებაშვილს,** სახელმძღვანელოსთვის „პირის ღრუს ლორწოვანი გარსის დაავადებები".

**თამაზ გამყრელიძის სახელობის პრემია** – აკადემიკოს **ავთანდილ არაბულს** ნაშრომთა ციკლისთვის „ქართული ენის სტრუქტურა და ისტორია".

**კირიაკ ზავრიევის სახელობის პრემია** – ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორ **შალვა გაგოშიძეს** მონოგრაფიისთვის „წყლის პერიოდულ ტალღურ მოძრაობათა გაანგარიშების ანალიზური მეთოდები".

**ლეონარდ დეკაპრელევიჩის სახელობის პრემია** – სოფლის მეურნეობის აკადემიურ დოქტორ **ნინო ჯანკვეტაძეს** მონოგრაფიისთვის „ტოპინმზესუმზირას კულტურა საქართველოში".

**შალვა ნუცუბიძის სახელობის პრემია** – ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორებს **ირაკლი ბრაჭულს, ვალერიან რამიშვილს, ანასტასია ზაქარიაძეს,** ფილოსოფიის აკადემიურ დოქტორ **დემურ ჯალაღონიას,** თეოლოგიის დოქტორს დეკანოზ **ალექსი ქშუტაშვილს** წიგნებისთვის „ანთიმოლოგიური შტუდიები-ტრადიცია და პერსპექტივები", „ანთიმოზ ივერიელი-თხზულებები", „ანთიმოზ ივერიელის რჩეული თხზულებების სამენოვანი პარალელური ტექსტების კრებული".

**გიორგი ნიკოლაძის სახელობის პრემია** – მეცნიერებათა დოქტორ **თამაზ მარსაგიშვილს,** აკადემიურ დოქტორებს **გრიგორ ტატიშვილს, ნათელა ანანიაშვილს, მანანა გაჩეჩილაძეს, ელიზავეტა ცხაკაიას, მარინე მაჭავარიანს** ნაშრომთა ციკლისთვის „ცელულოზაშემცველი ნარჩენებიდან ნახშირბადოვანი მასალების მიღება და მათი აპლიკაციები".

**ნიკო კეცხოველის სახელობის პრემია** – აკადემიის წევრ-კორესპონდენტ **გიორგი ნახუცრიშვილს** ნაშრომთა ციკლისთვის „კავკასიონის მაღალმთის მცენარეულობა".

**ევგენი ხარაძის სახელობის პრემია** – ფიზიკის აკადემიურ დოქტორ **გიორგი მამაცაშვილს** ნაშრომთა ციკლისთვის „დისკ-ჯეტის სისტემების წრფივი არამდგრადობები და არაწრფივი დინამიკა".







**ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის პრემია** – გეოგრაფიის აკადემიურ დოქტორებს **ნანა ბოლაშვილსა** და **ვაჟა ნეიძეს** (გარდაცვალების შემდეგ), უცხოელ მეცნიერებს **ანდრეას ბიტმანს, ლორენ კინგს** ნაშრომისთვის „საქართველოს ეროვნული ატლასი“.

* * *

**ეროვნული აკადემიის საპატიო სიგელით დაჯილდოვდნენ:**

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი **ზაზა ავალიანი**; ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი **იური ანანიაშვილი**; ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი **გივი ბედიანაშვილი**; ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი **თეიმურაზ ბერიძე**; ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი **ლიანა ბითაძე**; ბიოლოგიის აკადემიური დოქტორი **მედეა ბურჯანაძე**; ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი **ნანა გაფრინდაშვილი**; ბიოლოგიის აკადემიური დოქტორი **ნინო გაგელიძე;** გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი **ვახტანგ გელაძე**; ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი **თემურ გვიმრაძე**; ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი **ზურაბ გვიშიანი**; ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი **გიორგი გოგოლაშვილი**; ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი **თამაზ გოგოლაძე**; ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი **დავით თარხნიშვილი**; ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი **ვახტანგ კვარაცხელია**; ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი **თამაზ კოჭლამაზაშვილი**; ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი **ნაზიბროლა კუციავა**; ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი **ედუარდ კუხალაშვილი**; ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი **თამარ ლომინაძე**; პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი **ვახტანგ მაისაია**; პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი **მალხაზ მაცაბერიძე;** მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი **ნაპოლეონ მესხია**; მედიცინის აკადემიური დოქტორი **კახაბერ მეტრეველი**; ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი **საბა მეტრეველი**; ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი **თემურ მაჭარაშვილი**; მედიცინის აკადემიური დოქტორი **ნინო მუსერიძე**; ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი **გოდერძი ნარიმანიშვილი**; ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი **სოლომონ პავლიაშვილი**; ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი **რამაზ საყვარელიძე**; ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი **ნელი სიდამონიძე**; ისტორიის დოქტორი **გიორგი სოსიაშვილი**; ქიმიის აკადემიური დოქტორი **ლალი ტაბატაძე**; აკადემიური დოქტორი **ლევან ფიფია**; იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი **ბექა ქანთარია**; ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი **ნანა შათაშვილი**; აკადემიკოსი, გეოლოგი **დავით შენგელია**; ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი **დიმიტრი შველიძე**; ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი **ზვიად წამალაიძე**; მედიცინის აკადემიური დოქტორი **გიორგი წივწივაძე**; ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი **ლეილა ხუსკივაძე**.

* * *

**გულწრფელად ვულოცავთ დაჯილდოებულთ! მომავალი წლები უფრო მშვიდობიანი და ნაყოფიერი ყოფილიყოს!**

**სპარტაკ ქოზბულია**



**ლეგენდარული გიორგი ნიკოლაძის (დიდი ნიკო ნიკოლაძის შვილის) სრულიად ახალგაზრდულ ასაკში შექმნილი „პირდაპირი გამრავლების და გაყოფის ელექტრული არითმომეტრი“**

# მეცნიერთათვის ვატიკანის ბიბლიოთეკის კარი ღიაა...

## ვატიკანში საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკასა და ვატიკანის ბიბლიოთეკას შორის თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა



საქართველოს პარლამენტის ცნობით, მემორანდუმით, ქართველ მკვლევარებს, ისტორიკოსებსა და მეცნიერებს ვატიკანის ბიბლიოთეკის ფონდებსა და საცავებში, მიეცემათ კვოტირების გარეშე კვლევითი საქმიანობის ჩატარების უფლება.

**„ვატიკანში დაცულია მასალები მე-15 საუკუნიდან დღემდე. საქართველოს ისტორიის სიახლეებთან დაკავშირებით კვლევების შედეგად აღმოჩენილი დოკუმენტები გაციფრულდება და საქართველოს საჩუქრად გადმოეცემა.**

**განიხილება ორიგინალების საგამოფენოდ საქართველოში ჩამოტანის და საჯაროდ გამოფენის შესაძლებლობაც.**

**შეთანხმების მნიშვნელობიდან გამომდინარე შეხვედრას ვატიკანში ესწრებოდა საქართველოს პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის თავმჯდომარე - გივი მიქანაძე, რომელმაც მისასალმებელ სიტყვაში აღნიშნა, რომ ეს მემორანდუმი ისტორიული მნიშვნელობისაა და შესაძლებელს გახდის მოძიებულ და აღმოჩენილ იქნას ინფორმაცია საქართველოს ისტორიის უცნობ ეპიზოდებზე. გივი მიქანაძის თქმით, სიმბოლურია, რომ ხელმოწერა დაემთხვა მეცნიერების მსოფლიო დღის აღნიშვნას.**

**მემორანდუმს საქართველოს მხრიდან ხელი ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორმა, გიორგი კეკელიძემ და ვატიკანის მხრიდან, ვატიკანის ბიბლიოთეკის პრეფექტმა მონსინიორ მაურო მანტოვანიმ მოაწერეს.ღონისძიებას წმინდა საყდარში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ქეთევან ბაგრატიონი-მუხრანბატონი და ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილე მირიან ხოსიტაშვილი ესწრებოდნენ“** – ნათქვამია ინფორმაციაში, რომელსაც საქართველოს პარლამენტი ავრცელებს.

# ლევილის მამულის რეაბილიტაცია დასასრულს უახლოვდება

**ლევილის ქართველთა მამულში წარმატებით დასრულდა ნამეტია გოგუაძის საცხოვრისის (ამჟამად ე. წ. გუშაგის სახლი) სახურავის რეაბილიტაცია, ახალი კრამიტით გადახურვა და სახურავის აღდგენა ისტორიული სახით, ამავე კომპლექსის ფასადის რეაბილიტაცია და სასერვეროს, საწყობის, ადმინისტრატორის ოფისის სარემონტო სამუშაოები, – ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო ავრცელებს.**

მათივე ინფორმაციით, გარდა ამისა, რეაბილიტაცია ჩაუტარდა მამულის ტერიტორიაზე მდებარე კიდევ რამდენიმე შენობას და მოეწყო ექვსი სტუდიის ტიპის საცხოვრებელი, რომლებიც გამოყენებული იქნება სახელოვნებო რეზიდენციებისთვის. პარალელურად მიმდინარეობს და წელს დასრულდება მამულის ქვის გალავნის რეაბილიტაცია-რესტავრაცია.

**„ახლახან დასრულდა შატოს, ბიბლიოთეკისა და პოლკოვნიკ წერეთლის საცხოვრებელი სახლის აზბესტისგან გაწმენდა. საყურადღებოა, რომ ამ სამუშაოს დაწყებამდე ჩატარდა ლევილის მამულის შენობა-ნაგებობების დიაგნოსტიკა აზბესტის შემცველობის დასადგენად, ვინაიდან საფრანგეთის კანონმდებლობა ითვალისწინებს ასეთ შემოწმებას ნებისმიერი მშენებლობისა თუ რეაბილიტაციის დაწყებამდე.**

**ამასთანავე, გრძელდება გალავნის რეაბილიტაციის მეორე ეტაპი, რომელიც წლის ბოლოს დასრულდება.**




**ინფორმაციისთვის: საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მიერ საფრანგეთში შეძენილი ლევილის მამული 2016 წელს, 25-წლიანი მოლაპარაკებების შემდეგ, დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრ გელა დუმბაძისა და იუსტიციის მაშინდელი მინისტრის, თეა წულუკიანის, ძალისხმევის შედეგად საქართველოს დაუბრუნდა. 2021 წლის ზაფხულში პროექტი, სახელწოდებით „პირველი რესპუბლიკის ისტორიული და კულტურული ქართულ-ფრანგული მემორიალური ცენტრის, ლევილის ქართული აკადემიის შექმნა“, გადაეცა ახალშექმნილ უწყებას – საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს.**

**აღსანიშნავია, რომ მამულის სამინისტროსთვის გადმოცემის შემდეგ მინისტრ თეა წულუკიანის ხელმძღვანელობით პარიზში, ლევილსა და თბილისში მამულის მმართველი კომიტეტის რამდენიმე სხდომა გაიმართა, რომლებზეც ერთხმად მიიღეს მამულის რეაბილიტაციის პროექტთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები.**

**შედეგად დაიწყო და აქტიურად მიმდინარეობს ლევილის მამულის აღდგენა. 2022-2023 წლებში ჩატარდა გალავნის, „გუშაგის სახლისა“ და პარკის პირველი ეტაპის სარეაბილიტაციო სამუშაოები.**

**2026 წლის სექტემბრამდე მამულის ტერიტორიაზე მოეწყობა ლევილის ქართული აკადემია, სამუზეუმო და საარქივო სივრცე, ბიბლიოთეკა, საკონფერენციო დარბაზი, მედიათეკა და ქართული კუთხე (ქართული ოდა, ვენახი, ქვევრი და ქართული ღვინის პოპულარიზაციისთვის აუცილებელი კომპონენტები)“,** – ნათქვამია გავრცელებულ ინფორმაციაში.

# გელათის რეაბილიტაციის კომიტეტმა 2023 წლის მაისი-ოქტომბრის საქმიანობის შუალედური ანგარიში წარადგინა



**გელათის რეაბილიტაციის კომიტეტმა 2023 წლის მაისი-ოქტომბრის საქმიანობის შუალედური ანგარიში წარადგინა. დოკუმენტში შეფასებულია ტაძრის ადრინდელი მდგომარეობა და სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომელიც ამ დრომდე გრძელდება. ანგარიშში ნათქვამია, რომ დროებითი გადახურვის პროექტმა გამორიცხა გელათის ტაძარში ნალექის ჩასვლა და ფრესკების დაზიანების საფრთხე.**

ამასთან, მასში აღნიშნულია, რომ დაწყებულია კედლის მხატვრობისა და მოზაიკის შესწავლა. სამუშაო პროცესში ქართველ არქიტექტორებთან და სპეციალისტებთან ერთად, ჩართულნი არიან ევროპელი მეცნიერები და ექსპერტები.

ქართული სამეცნიერო ჯგუფის ხელმძღვანელის, აკადემიკოს დავით ლორთქიფანიძის განცხადებით, შექმნილია ტაძრის დროებითი გადახურვის პროექტი, რომელიც „იუნესკოსთან“ შეთანხმებით განხორციელდება. აღნიშნული მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ შემდეგ ტაძარზე რესტავრატორებმა თავისუფლად იმუშაონ. მისივე თქმით, უახლოს პერიოდში საქართველოში „იუნესკოს“ სპეციალისტებს ელოდებიან.

# შალვა ამონაშვილი რაჭას ესტუმრა



**ამბროლაურში აკადემიკოს შალვა ამონაშვილის საჯარო შეხვედრა გაიმართა. შეხვედრას საგანმანათლებლო და საჯარო სექტორის წარმომადგენლები, სასულიერო პირები, მშობლები და სხვა დაინტერესებული მსმენელი ესწრებოდა.**

მენტორმა ისაუბრა ჰუმანური პედაგოგიკის მიდგომებზე, საგანმანათლებლო სფეროს გამოწვევებსა და პოზიტიურ მშობლობაზე, პედაგოგის როლსა და მიდგომებზე სასკოლო ცხოვრებასთან მიმართებაში. გასცა ბევრი რჩევა და რეკომენდაცია, უპასუხა დასმულ კითხვებს.

# აფხაზური ენა ისევ საქართველომ უნდა გადაარჩინოს!

## „ვერ ვლაპარაკობ, მაგრამ მესმის“...

## აფხაზური ენა ახალგაზრდებს აღარ იზიდავს!

**აფხაზური ენა გაქრობის საფრთხის ქვეშაა, მიიჩნევს იუნესკო. როგორც დე ფაქტო აფხაზეთის, ასევე საქართველოს კანონმდებლობით, აფხაზური სახელმწიფო ენაა აფხაზეთის ტერიტორიაზე, მაგრამ რეალურად მას თითქმის არ იყენებენ. აფხაზური არც საბჭოთა აფხაზეთში იყო წამყვანი ენა, თუმცა, იყო აფხაზური თეატრი, უნივერსიტეტი აფხაზურენოვანი სექტორით, ტელემაუწყებლობა აფხაზურად...**




ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც 90-იან წლებში და მერეც აფხაზები დამოუკიდებლობას ითხოვდნენ, სწორედ ენა იყო. ამბობდნენ, რომ საქართველოს შემადგენლობაში მათ არ ჰქონდათ თვითგამორკვევის პირობები, მათ შორის, აფხაზური ენის სწავლისა და განვითარების. აფხაზეთმა დამოუკიდებლობა დე ფაქტო სამი ათეული წლის წინ გამოაცხადა, მაგრამ იქ ენის გამოყენების თვალსაზრისით ბევრი არაფერი შეცვლილა. დღეს აფხაზეთში საქმისწარმოება რუსულად მიდის, რუსულად საუბრობენ დე ფაქტო პარლამენტსა და სხვა სახელმწიფო სტრუქტურებში. რუსულად სწავლობენ ადგილობრივ ინსტიტუტებში. ხალხი ერთმანეთს რუსულად ელაპარაკება.

მაგალითად, აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტის ოფიციალური საიტი სამენოვანია. მასზე ინფორმაციის ნახვა რუსულად, აფხაზურად და ინგლისურად შეიძლება, მაგრამ, ყველაფრის არა, მაგალითად, ერთ-ერთ განყოფილებას სახელწოდება „დოკუმენტები“ მართლაც სამ ენაზე აწერია, მაგრამ თავად დოკუმენტები, მათ შორის აფხაზეთის კანონმდებლობა, მხოლოდ რუსულად არის ატვირთული. აფხაზური ენის სპეციალისტი ირმა ოსია, რომელიც დღემდე ყოველწლიურად ჩადის აფხაზეთში, ამბობს, რომ აფხაზური ყველა აფხაზმა იცის, მაგრამ ერთმანეთს მაინც რუსულად ელაპარაკებიან.

**„ბებია შვილიშვილს რუსულად ელაპარაკება, რომ ვეკითხები რატომ-მეთქი, მივეჩვიეთო. ისიც უთქვამთ, რაში დაგვჭირდება აფხაზურიო. საქმისწარმოება აფხაზურად არ არის, რადგან აფხაზების გარდა იქ რუსები და სომხებიც ცხოვრობენ, რომლებმაც აფხაზური საერთოდ არ იციან.**

**ამ ბოლო დროს უფრო დაიწყეს ბაღებში სწავლება, წიგნებსაც უშვებენ, მაგრამ ეს ის დონე არ არის, რომ ენა ძირფესვიანად შეასწავლო ადამიანს“.**

1989 წლის აღწერით, საქართველოში ცხოვრობდა 95,9 ათასი აფხაზი, აფხაზეთში – 93,3 ათასი, მთლიანად საბჭოთა კავშირში – 105 ათასი. 2003 წელს აფხაზეთში ჩატარებული აღწერის მიხედვით, თვითგამოცხადებულ რესპუბლიკაში 94,5 ათასი აფხაზი იყო. აფხაზების გაცილებით დიდი რაოდენობა აფხაზეთს მიღმა ცხოვრობს, მათ შორის 400 ათასამდე ეთნიკური აფხაზია თურქეთში, სირიასა და იორდანიაში.

7 სექტემბერს აფხაზეთში ადგილობრივმა ტელევიზიამ („აფხაზეთის ტელევიზია“) სწავლის დაწყებასთან დაკავშირებით სიუჟეტი მოამზადა. სატელევიზიო რეპორტაჟიდან ირკვევა, რომ სოხუმის №14 სკოლაში წელს აფხაზური სექტორის გახსნა ვერ მოხერხდა, აფხაზურის მცოდნე ბავშვი არ იყო. ამავე სიუჟეტში ამბობენ, რომ სულ სოხუმში 13 სკოლაა, აქედან 3 აფხაზური, 1 – სომხური და 9 – რუსული, რუსული სკოლებიდან ხუთს აფხაზური სექტორიც აქვს.

აფხაზური აფხაზურ-ადიღური ოჯახის ენაა. მისი დამწერლობა კირილიცას ეფუძნება. აფხაზური ენის სპეციალისტები აფხაზურ ენას ერთ-ერთ ყველაზე რთულ ენად ახასიათებენ, თუნდაც მხოლოდ იმიტომ, რომ მასში 64 ბგერაა, რთულია აფხაზურის გრამატიკაც და ენის დამოუკიდებლად სწავლაც.

27 სექტემბერს აფხაზეთში „აფხაზური ენის“ დღე აღნიშნეს. „ეხო კავკაზა“ აფხაზეთში მცხოვრებლებს გაესაუბრა, ჰკითხა, ფლობენ თუ არა ისინი აფხაზურ ენას და ემუქრება თუ არა მას საფრთხე.

**ნანა:** „აფხაზურად კითხვა არ ვიცი, რადგან თავის დროზე გულრიფშის რაიონში ქართულს ასწავლიდნენ, მაგრამ ლაპარაკით, რა თქმა უნდა, ვლაპარაკობ, რადგან აფხაზი ვარ. მართალია, დედა არ მყავს აფხაზი, მაგრამ როცა სკოლა დავამთავრე და მუშაობა დავიწყე, ენაც ვისწავლე, დაქალები მყავდა აფხაზები“.

**მილენა კვეკვესკირი:** „საკმაოდ კარგად ვიცი აფხაზური. უმეტესად სკოლაში ვისწავლე, რადგან, სამწუხაროდ, ოჯახში პრაქტიკის საშუალება არ იყო, მიუხედავად იმისა, რომ აფხაზები ვართ. საბჭოთა პოლიტიკის გამო ბებიას აფხაზურთან პრობლემები ჰქონდა და აფხაზურად ხშირად არ ვლაპარაკობდით. აფხაზური, შეიძლება ითქვას, სკოლაში ვისწავლე. ლიტერატურას ვკითხულობდი აფხაზურად და ახლაც თავისუფლად შემიძლია კითხვა.

რაც შეეხება საფრთხეს, პირდაპირი საფრთხე, შესაძლოა, არა, მაგრამ ირიბად ამას ვგრძნობ. შესაძლოა, ეს იმის ბრალი იყოს, რომ სახელმწიფოს (იგულისხმება დე ფაქტო აფხაზეთის სახელმწიფო) არასწორი პოლიტიკა აქვს“... აფხაზური ენის სტატუსი დაცულია საქართველოს კონსტიტუციის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტით. კონსტიტუციაში წერია, რომ „საქართველოს სახელმწიფო ენა არის ქართული, ხოლო აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში აგრეთვე – აფხაზური“.

**„საქართველოს განათლების სამინისტრომ გამოუშვა სახელმძღვანელოები აფხაზური სკოლებისთვის, 1-4 კლასებისთვის. წიგნები ითარგმნება აფხაზურად. აფხაზეთშიც ვაძლევთ, უფრო გალის რაიონებს, ასევე ბათუმში, სადაც ბევრი აფხაზი ცხოვრობს,** – ამბობს **ირმა ოსია.**

**თეა თოფურია**

# აფხაზებს „ბულბულის სტვენით“ აშინებენ

## როგორ ეძებდნენ მოსკოვის დაკვეთით აფხაზეთში „ქართველ დივერსანტებს“

**რუსეთის მიერ ოკუპირებულ აფხაზეთში „ქართველი დივერსანტების“ ძებნის 48-საათიანი ეპოპეა, როგორც იქნა, დასრულდა. დასრულდა უშედეგოდ: მასშტაბურ ოპერაციაში ჩართულმა სრულიად აფხაზურმა ძალოვანმა კორპუსმა და ავიაციამ „დივერსანტთა“ ვერც 50-კაციან ჯგუფს მიაკვლიეს, ვერც 7-კაციანს და საერთოდაც, ვერავის საეჭვოს.**

როგორც ცოტა ხნის წინ აფხაზ ჟურნალისტებს „უშიშროების სახელმწიფო კომიტეტიდან“ აცნობეს, „მიღებული ინფორმაციის გადასამოწმებლად ჩატარებული მასშტაბური ოპერაცია დასრულებულია და რესპუბლიკაში დივერსიული ჯგუფის კვალი არ აღმოჩნდა“. საინტერესოა ამ „მიღებული ინფორმაციის“ წყარო, რომელიც მოსახლეობისთვის ამ დრომდე გაურკვეველი რჩება, – თუმცა ისევე, როგორც ის, თუ რას წარმოადგენდა ზოგადად მთელი ეს 48-საათიანი სპექტაკლი.

საქმე ისაა, რომ თავდაპირველად ცნობა საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებადი ტერიტორიიდან აფხაზეთში დივერსიული ჯგუფის ვითომდა გადასვლის შესახებ 8 ნოემბერს თავის იუთუბ-არხ **„Соловьев, Live“**-ში კრემლის ცნობილმა პროპაგანდისტმა ვლადიმირ სოლოვიოვმა გაავრცელა. მასში ჯგუფის რიცხოვნობად 50 კაცი სახელდებოდა, მიზნად – „ტერაქტი სოხუმის აეროპორტის წინააღმდეგ“, ხოლო ამ ინფორმაციის წყაროდ – „აფხაზეთის რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტრო“... ბუნებრივია, აფხაზური მედიის წარმომადგენლებმა უმალვე მიმართეს დე ფაქტო თავდაცვის უწყებას, თუმცა აღმოჩნდა, რომ მას მსგავსი ინფორმაცია არ გააჩნდა. ხოლო კიდევ მოგვიანებით, აფხაზი ჟურნალისტების მიერ დე ფაქტო სამინისტროს უარმყოფელი კომენტარის გავრცელების შემდეგ ინფორმაცია თავად **„Соловьев, Live“**-მაც წაშალა.

და ამბავი ამით შეიძლებოდა, დასრულებულიყო. მით უფრო, რომ აფხაზეთში სოლოვიოვის არხს დიდი ხანია, სადეზინფორმაციო საშუალებად მიიჩნევენ და სარკაზმით „ბულბულის გალობად“ (соловей ბულბულს ნიშნავს) მოიხსენიებენ. თუმცა საქმეში ჩაერთო აფხაზეთის დე ფაქტო შს სამინისტრო: ისევ და ისევ რუსულ მედიაში გამოჩნდა „მინისტრ“ რობერტ კიუტის განცხადება, რომლის თანახმად, „ადგილობრივმა მონადირეებმა გულრიფშის რაიონის სოფელ აზანთას მიდამოებში შენიშნეს საეჭვო 7-კაციანი ჯგუფი ყოველგვარი ამოსაცნობი ნიშნების გარეშე, რომლის წევრები, გამოწყობილნი შავ სამოსში, ნიღბებსა და ჩაფხუტებში, შეიარაღებულნი იყვნენ უცხოური წარმოების იარაღით, სავარაუდოდ – M4-ებით და გააჩნდათ კვადროკოპტერი, რომელიც გადაადგილებისას მათ თავზე დაფრინავდა“. „ჩვენი ძალოვანები ამჟამად გულრიფშის რაიონში სავარაუდო დივერსანტების საძიებო ოპერაციას ატარებენ. ვარკვევთ, ვინ არიან, საიდან და რა ხდება ზოგადად. სოხუმის ყველა მისადგომი გადაკეტილია“ – ნათქვამი იყო დე ფაქტო მინისტრის რუსული მედიის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

შუაღამისკენ იმავე დე ფაქტო უწყებამ გაავრცელა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ შექმნილი იყო სპეციალური ოპერატიული შტაბი დე ფაქტო ვიცე-პრეზიდენტის ხელმძღვანელობით, ძალოვანი უწყებები კოორდინირებულად აგრძელებდნენ სავარუდო დივერსანტთა ჯგუფის ძებნას და საეჭვო პირთა კვალი იმ ეტაპისთვის აღმოჩენილი არ იყო.

ეს გაუგებარი სპექტაკლი გაგრძელდა მეორე დღეს – 9 ნოემბერსაც. დე ფაქტო შსს-მ გაავრცელა ახალი განცხადება, რომლის თანახმად, სამძებრო ოპერაციაში უკვე ავიაციაც იყო ჩართული და ადგილზე იმყოფებოდა აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლების ფაქტობრივად ყველა მაღალჩინოსანი, „პარლამენტის“ სპიკერის ჩათვლით.

და აი, დღეს საღამოს უხილავი ჯგუფის საძიებო ოპერაცია, როგორც იქნა, დასრულებულად გამოცხადდა: არავითარი დივერსანტთა ჯგუფი აფხაზეთში არ აღმოჩნდა. თუმცა სოცქსელების აფხაზურ სეგმენტში ამ ამბის ემოციური განხილვა ახლაც არ წყდება.

უნდა აღინიშნოს, რომ „რესპუბლიკაში საქართველოდან დივერსანტთა ჯგუფის შეღწევის“ შესახებ ინფორმაციამ ადგილობრივებში იმთავითვე არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია: სოცქსელების აფხაზ მომხმარებელთა უდიდესმა ნაწილმა იგი ფეიქად აღიქვა, თუმცა იყვნენ შეშფოთებულებიც. კომენტარებში ერთმანეთს ენაცვლებოდა ირონია, პანიკა, სარკაზმი და მთელი ამ სპექტაკლისთვის რაიმე ლოგიკური საფუძვლების ძიების მცდელობები. პირადად მე ბევრმა მათგანმა გამახალისა. შემოგთავაზებთ რამდენიმეს:

- **„თურმე, აეროპორტის წინააღმდეგ სნდომებიათ ტერაქტის მოწყობა... ამიხსნის ვინმე, რისთვის? აეროპორტი ხომ ისედაც არ ფუნქციონირებს! როგორც ჩანს, რუს ინვესტორს უნდა დახმარებოდნენ ინფრასტრუქტურის ნარჩენების მიწასთან გასწორებაში!“;**
- **„შევხედავ ერთი, ვის იპოვიან საბოლოოდ. სოლოვიოვმა, როგორც სჩვევია, რაღაც დააბრეხვა თავის მიზნებში, ჩვენი ძალოვანები კი გულრიფშს ეძგერნენ და ეძებენ არ ვიცით, ვის და არ ვიცით, სად! სამაგიეროდ ვეღარავის გვძინავს!“;**
- **„ბოლოს და ბოლოს, 50-ნი არიან თუ შვიდნი? – გაგვაგებინონ წესიერად, თუ საერთოდ არიან, რა თქმა უნდა! ცოტა ხანში ალბათ, მთელ „დივერსიულ ბატალიონს“ გამოგვიცხადებენ!“;**
- **„ხანდახან ისე ხდება, რომ მონადირეები შენიშნავენ სხვა მონადირეებს და დივერსანტები ჰგონიათ, რადგან დღეს მონადირეები დივერსანტებზე არანაკლებ არიან აღჭურვილები, თუ მეტად არა, მათ შორის – არანაკლები იარაღითა და კვადროკოპტერებით. ანუ, შესაძლოა, დივერსანტები კი არა, მონადირეების ჯგუფი იყო. ვნახოთ, საბოლოოდ ვის იპოვიან“;**
- **„ვეძებთ მას, ვინც ბუნებაში არ არსებობს! უახლოეს ხანებში გამოჩნდება, რისი გადაფარვა სურდათ ამ აბსურდული ისტორიით ჩვენებს ან მოსკოვს, მაგრამ კარგად კი ვიხალისე“.**

ბოლო კომენტარი, ჩემი ხედვით, ყველაზე ახლოსაა რეალობასთან. ამ კონტექსტში საგულისხმოა დრო, როცა რუსულმა მედიამ ეს ამბავი ააგორა: ეს მოხდა სწორედ იმ დღეებში, როცა ცნობილი გახდა ევროკომისიის მიერ საქართველოსთვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მონიჭებაზე დადებითი რეკომენდაციის გაცემის შესახებ და ორიოდ დღეში მას შემდეგ, რაც რუსმა ოკუპანტებმა სოფელ კირბალის მიდამოებში, საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე ჩვენი ქვეყნის მოქალაქე თამაზ გინტური მოგვიკლეს, ლევან დოთიაშვილი კი გაიტაცეს. სხვათა შორის, დღეს მოსკოვი საქართველოს წინაშე ამ მორიგ მზაკვრულ დანაშაულზე პასუხისმგებლობის თავიდან არიდებას ცდილობდა, როგორც ყოველთვის – ცინიკური „არგუმენტებით“.

თუმცა არსებობს სხვა ვარაუდიც: „დივერსიული“ სპექტაკლი აფხაზეთში გათამაშდა დე ფაქტო პრეზიდენტ ასლან ბჟანიას მოსკოვში მორიგი ვიზიტის ფონზე, რომლის ფარგლებშიც იგი, მათ შორის, რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივნის პირველ მოადგილეს – ნურგალიევსაც შეხვდა. ეს ის რუსი მაღალჩინოსანია, რომლის ვაჟის კომპანიასაც გადასცა ბჟანიამ სულ ცოტა ხნის წინ, საზოგადოებრიობის პროტესტის მიუხედავად, პროპაგანდისტ სოლოვიოვის მიერ „ქართველ დივერსანტთა ჯგუფის“ სამიზნედ დასახელებული სოხუმის აეროპორტი.

ახლა სოცქსელების აფხაზურ სეგმენტში არაერთი კომენტატორი გამოთქვამს ეჭვს, რომ ბჟანია მოსკოვიდან მორიგი არასასიამოვნო სიურპრიზებით დაბრუნდება, რომლებიც მისი რუსი „ბოსებისთვის“ აფხაზეთში მორიგი სტრატეგიული ობიექტის ჩუქებასთან შეიძლება, იყოს დაკავშირებული.



# ნეთანიაჰუ მსოფლიოს წინააღმდეგ

**ისრაელის პრემიერ-მინისტრი ბენიამინ ნეთანიაჰუ აცხადებს, რომ საჭიროების შემთხვევაში ისრაელი მტკიცედ დადგება მსოფლიოს წინააღმდეგ.**

მედიის ინფორმაციით, ნეთანიაჰუმ მკაცრად გააკრიტიკა საფრანგეთის პრეზიდენტის, ემანუელ მაკრონის განცხადება, რომ ისრაელმა უნდა შეწყვიტოს ქალებისა და ბავშვების მკვლელობა. ერთობლივ პრესკონფერენციაზე ისრაელის პრემიერ-მინისტრმა, ბენიამინ ნეთანიაჰუმ, თავდაცვის მინისტრმა, იოავ გალანტმა და მინისტრმა, ბენი განცმა უარყვეს საერთაშორისო კრიტიკა ომის სამოქალაქო დანაკარგებთან დაკავშირებით და მოუწოდეს დასავლეთის ლიდერებს, მხარი დაუჭირონ ებრაულ სახელმწიფოს, რადგან მისი გამარჯვება ნიშნავს გამარჯვებას მთელი თავისუფალი სამყაროსთვისაც. ბენიამინ ნეთანიაჰუმ ასევე მიუთითა, რომ ისრაელი ეწინააღმდეგება ომის შემდეგ პალესტინის ხელისუფლების ღაზაში დაბრუნებას.

# „ჰეზბოლა" შეცდომებს უშვებს, რაც ძვირად დაუჯდება

**ისრაელის თავდაცვის მინისტრმა, იოავ გალანტმა განაცხადა, რომ „ჰეზბოლა" ლიბანს ომში ითრევს.** გალანტი გამოეხმაურა ლიბანური შიიტური დაჯგუფების, „ჰეზბოლას" ლიდერის, ჰასან ნასრალას განცხადებას, რომელმაც სატელევიზიო მიმართვისას აღნიშნა, რომ ისრაელთან ფრონტი აქტიური დარჩება.

როგორც გალანტმა აღნიშნა, „ჰეზბოლა" შეცდომებს უშვებს.

**„ისინი, ვინც საფასურს გადაიხდიან, უპირველეს ყოვლისა, ლიბანის მოქალაქეები არიან. რასაც ღაზაში ვაკეთებთ, შეგვიძლია, ბეირუთშიც გავაკეთოთ",** – განაცხადა გალანტმა ისრაელის ჩრდილოეთ ნაწილში სამხედროების მონახულებისას.

# გაათავისუფლეთ „ჰამასის" მძევლები!

**ისრაელის ქალაქებში ათობით ათასმა ადამიანმა „ჰამასის" მძევლების გათავისუფლების მოთხოვნით საპროტესტო აქცია გაიმართა. ისრაელზე 7 ოქტომბრის თავდასხმის შემდეგ „ჰამასს" მძევლად 239 ადამიანი ჰყავს აყვანილი.**

მძევლების გათავისუფლების მოთხოვნით დემონსტრაციები გაიმართა თელ ავივში, იერუსალიმსა და სხვა ქალაქებში. საპროტესტო აქციის მონაწილეებს შორის იმყოფებოდნენ გატაცებულების ოჯახის წევრები, ახლობლები და მხარდამჭერები.

# პალესტინელთა მხარდამჭერი აქცია ბარსელონაში



**ბარსელონაში პალესტინელთა მხარდამჭერმა დემონსტრანტებმა რკინიგზის სადგურის ტერიტორიაზე შეჭრა სცადეს. „როიტერის" ცნობით, პოლიციამ ქალაქის მთავარი რკინიგზის სადგურის კარიბჭე ჩაკეტა და მომიტინგეების წინააღმდეგ ფარები და ხელკეტები გამოიყენა.**

პროპალესტინური დემონსტრაციები ევროპის სხვა ქალაქებშიც გაიმართა. ლონდონში პალესტინელთა მხარდამჭერ მსვლელობაში 300 ათასმა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა. ამის პარალელურად, პოლიციამ ულტრამემარჯვენეთა კონტრაქციაზე 120-ზე მეტი ადამიანი დააკავა. პალესტინის მხარდამჭერი აქციები გაიმართა ბრიუსელში, პარიზში, ვენასა და ბერლინშიც.

# ამერიკა ვეღარ ეხმარება უკრაინას, ახლა ევროპის ჯერია

**საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების საკითხებში ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი ჟოზეფ ბორელი აცხადებს, რომ უკრაინისადმი აშშ-ის დახმარება, სავარაუდოდ, შემცირდება, ამიტომ ევროკავშირის ქვეყნები პოლიტიკურად მზად უნდა იყვნენ უკრაინის მხარდაჭერის გასაგრძელებლად.**

აღნიშნულის შესახებ ბორელმა მალაგაში, ევროპელი სოციალისტების პარტიის ყრილობაზე ონლაინ გამოსვლისას განაცხადა.

**„ჩვენ ბევრი პრობლემის წინაშე ვართ. ევროკავშირი გამოცდის წინაშე დგას. უპირველეს ყოვლისა, ეს ეხება უკრაინას, სადაც რუსეთზე გამარჯვების პერსპექტივა არ არის მყისიერი, და ევროპელები, რომლებსაც აქვთ ამისთვის საჭირო სახსრები, მზად უნდა იყვნენ პოლიტიკურად უკრაინის დახმარების გაგრძელებისთვის",** – განაცხადა ბორელმა.

# უკრაინას ვერ დავეხმარებითო...

**ევროკავშირის რამდენიმე ქვეყანა უკრაინისთვის 20 მლრდ ევროს ოდენობის სამხედრო დახმარების გამოყოფას ეწინააღმდეგება.**

ივლისში საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში ევროკავშირის უმაღლესმა წარმომადგენელმა ჟოზეფ ბორელმა წარმოადგინა გეგმა, რომელიც 2024-2027 წლებში კიევისთვის ყოველწლიურად 5 მილიარდი ევროს ოდენობის სამხედრო დახმარების გამოყოფას ითვალისწინებს. ამ ინიციატივის განხილვა ბრიუსელში 14 ნოემბერს, ევროკავშირის წევრი ქვეყნების თავდაცვის მინისტრების შეხვედრაზე იგეგმებოდა, თუმცა, Reuters-ის ცნობით, არაერთმა ქვეყანამ, მათ შორის გერმანიამ წინმსწრებად ასეთი თანხის გამოყოფის მიზანშეწონილობა ეჭვქვეშ დააყენა.

**„ჯერჯერობით არ ვაპირებ, ეს გეგმა ჩავარდნილად გამოვაცხადო, თუმცა აშკარაა, რომ მისი სრულყოფა შეიძლება. გერმანიას ბევრი კითხვა გაუჩნდა და ეს კითხვები საფუძველს არაა მოკლებული, იმიტომ რომ საუბარია დიდ თანხაზე",** – განაცხადა ევროკავშირის ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა დიპლომატმა. ევროკავშირის ზოგიერთი ქვეყანა არაა მზად, ასეთი ხანგრძლივი ვალდებულებები აიღოს, ამიტომ დიპლომატიური წყაროები არ გამორიცხავენ, რომ ევროკავშირმა მიმდინარე ეტაპზე უკრაინას მხოლოდ ერთი წლის თანხა, 5 მილიარდი ევრო გამოუყოს.

# განცხადება
# აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306$^{1}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი" კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის" განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ნოდარ ჯინჭველაძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

**1. უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ნოდარ ჯინჭველაძე (პ/ნ 47001009025), თბილისი, წმინდა ქეთევან დედოფლის გამზ. №59/4, ბლოკი „გ", ბინა 69

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**
თბილისი, წმინდა ქეთევან დედოფლის გამზ. №59/ლეხ კაჩინსკის ქუჩა №4 (საკადასტრო კოდი: 01.17.13.041.010.03.069 https://naprweb.reestri.gov.ge/ - /searchhttps://naprweb.reestri.gov.ge/ - /search).

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 3945665.66 ლარი.
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2023 წლის 13 ნოემბერი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2023 წლის 27 ნოემბერი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP94045523;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 940455

6. **მოვალე:** შპს „თელავღვინო" (ს/ნ 231254898), თელავი, ალაზნის გამზ. №30;
ინგა საქუაშვილი (პ/ნ 20001066937), თელავი, ალაზნის გამზ. №36 „ა", ბინა №6;
მათე საქუაშვილი (პ/ნ 20101071173), თელავი, სოფელი ფშაველი;
ნანა საქუაშვილი (პ/ნ 01005007333), თბილისი, ლეხ კაჩინსკის ქუჩა №6, ბინა №35;
ნინო საქუაშვილი (პ/ნ 20001011189), თელავი, ალაზნის გამზ. №36 „ა", ბინა №6;
ქეთევან ჯინჭველაძე (პ/ნ 47001008778), თბილისი, წმინდა ქეთევან დედოფლის გამზ. №59/4;
ქრისტინა საქუაშვილი (პ/ნ 20001067319), თელავი, სოფელი ფშაველი;
ნოდარ ჯინჭველაძე (პ/ნ 47001009025), თბილისი, წმინდა ქეთევან დედოფლის გამზ. №59/4, ბლოკი „გ", ბინა 69;
შპს „ერეკლე მეორე" (ს/ნ 431175934), თელავი, სოფელი ნაფარეული, მე-14 ქ. №5;
შპს „სანარადო" (ს/ნ 424252114), ახალციხე, პ. ნათენაძის ქ. №51;
გიორგი ჯინჭველაძე (პ/ნ 47001014698), თბილისი, წმინდა ქეთევან დედოფლის გამზ. №59/4, ბლოკი „გ", ბინა 69;
ლევან ჩხიკვაძე (პ/ნ 21001036843), თერჯოლა, თბილისის ქუჩა №12.

7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი" (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.

8. **აუქციონის პირობები:**
- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი".
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის" საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი", ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP94045523; ლოტის ნომერი: 940455).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2023 წლის 27 ნოემბრის 12:00 საათამდე.

# განცხადება
# აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306$^{1}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი" კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის" განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს რევაზ დემეტრაძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

**1. უძრავი ნივთის მესაკუთრე:** რევაზ დემეტრაძე (პ/ნ 03001004398), ადიგენი, ს. ვარხანი, პირველი ქ. №31

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**
ადიგენი, სოფელი ვარხანი (საკადასტრო კოდი: 61.12.23.280)

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 94983.03 ლარი.
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2023 წლის 13 ნოემბერი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2023 წლის 27 ნოემბერი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP94049223;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 940492

6. **მოვალე:** რევაზ დემეტრაძე (პ/ნ 03001004398), ადიგენი, ს. ვარხანი, პირველი ქ. №31.

7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი" (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.

8. **აუქციონის პირობები:**
- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი".
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის" საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი", ანგარიშის ნომერი E17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP94049223; ლოტის ნომერი: 940492).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2023 წლის 27 ნოემბრის 12:00 საათამდე.

ჩემპიონთა ლიგა

# გიორგის სიმბოლური




**დონეცკის „შახტარის“ მცველი გიორგი გოჩოლეიშვილი ჩემპიონთა ლიგის გასული კვირის სიმბოლურ გუნდში მოხვდა, რომელსაც უეფა Fantasy Football-ში დაგროვებული ქულების მიხედვით ადგენს.**

ქართველმა მცველმა „ბარსელონას“ წინააღმდეგ საგოლე პასი გააკეთა და მისმა გუნდმა ესპანური გრანდი 1:0 დაამარცხა. გიორგიმ Fantasy Football-ში ამ მატჩში 12 ქულა მიიღო.

**სიმბოლური ნაკრები ასეთია:**

მეკარე: **ანდრეი ლუნინი (რეალი)**

მცველები: **ხოსე ხიმენესი (ატლეტიკო), პეპე (პორტუ), გიორგი გოჩოლეიშვილი (შახტარი)**

ნახევარმცველები: **ბუკაიო საკა (არსენალი), მიკელ მერინო (სოსიედადი), დიეგო გონსალვეში (კოპენჰაგენი), სამუელ ლინო (ატლეტიკო)**

თავდამსხმელები: **ჰარი კეინი (ბაიერნი), ერლინგ ჰოლანდი (მანჩესტერ სიტი), ანტუან გრიზმანი (ატლეტიკო)**

სერია – „A“

# ტიტულის, დუბლის



**იტალიის სერია A-ს მეშვიდე ტურში „ვირტუს ბოლონიამ“ „ტრევიზო“ 91:77 დაამარცხა და მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა.**

ბოლონიელები დიდ უპირატესობას ფლობდნენ და ბოლო პერიოდი 11 ქულით რომ არ წაეგოთ, უფრო დიდი სხვაობით მოიგებდნენ.

**თორნიკე შენგელია** ისევ საუკეთესო იყო და მატჩის MVP გახდა. ქართველმა კალათბურთელმა 25 წუთში ორმაგი დუბლი მიითვალა – 20 ქულა, 10 მოხსნა, 5 პასი, 4 ჩაჭრა და 1 დაფარება დააგროვა. შენგელიამ 11-დან 7 ორქულიანი და 7-დან 6 საჯარიმო ჩააგდო, ხოლო 1 სამქულიანი ააცილა. თორნიკე მატჩის საუკეთესო მოთამაშე დამსახურებულად გახდა.

მატჩის დაწყებამდე შენგელიას სერია A-ს ოქტომბრის საუკეთესო კალათბურთელის პრიზი გადასცეს. „ვირტუს ბოლონია“ 6 მოგებით და 1 წაგებით სატურნირო ცხრილში პირველ ადგილზეა, მომდევნო ტურში კი 20 ნოემბერს „ბრეშას“ უმასპინძლებს.

სუპერთასი

# ანგარიში გავუსწორეთ

**„შავმა ლომმა“ 2023 წლის რაგბი ევროპის სუპერთასის მეორე მატჩში პორტუგალიური „ლუზიტანუში“ უშანსოდ – 22:0 დაამარცხა და „ა“ ჯგუფს ქულათა მაქსიმუმით ლიდერობს.**

ლევან მაისაშვილის გუნდს უკვე განაღდებული აქვს თასის ნახევარფინალში თამაში და 18 ნოემბერს კვიპროსში (ლიმასოლი) ისრაელის „თელ ავივ ჰითს“ ჯგუფში პირველი ადგილისთვის ერკინება.

ისე, როგორც „შავი ლომი“ ბორჯღალოსნებისთვის, „ლუზიტანუში“ პორტუგალიის ნაკრების საბაზო გუნდია. ამიტომ ლისაბონში გამართული მატჩი თვენახევრის წინ საფრანგეთის მსოფლიო თასზე გამართული შეხვედრის გაგრძელებად განიხილებოდა. მაშინ პორტუგალიამ საქართველოს გეგმები აურია (18:18) და ახლა „შავი ლომის“ ბორჯღალოსნებს მეტოქესთან პირადი ანგარიშებიც ჰქონდათ.

მიუხედავად იმისა, რომ „შავი ლომი“ სტუმრად თამაშობდა, მოედანზე მთელი 80 წუთის განმავლობაში დომინირებდა და გამარჯვებულის ვინაობა კითხვის ნიშნის ქვეშ წამითაც არ დამდგარა. ეს არ იყო ჩვენი გუნდის საუკეთესო თამაში. პირველი ტაიმის მიწურულს, მეტოქის 22-ში ზედიზედ სამი ჩვენი დერეფანი წავაგეთ და რამდენიმე რეალური შანსიც გავანიავეთ.

აი დაცვაში კი გუნდი საიმედოდ გამოიყურებოდა. „ლუზიტანუშმა“ რამდენჯერმე შეძლო საკუთარი კოზირის გამოყენება და სწრაფმა უკანახაზელებმა მოახერხეს სივრცეების მოძებნა, თუმცა დაზღვევა ყველა ჯერზე კარგად გაისარჯა, უმეტეს შემთხვევებში კი მცველები მეტოქეს ეფექტური ბოჯვებით უკან ახევინებდნენ და მათ საიმედო გარჯაზე საბოლოო ანგარიშიც მეტყველებს.



პირველ ტაიმში ორი ლელო გავიტანეთ: ჯერ ირაკლი ქვათაძემ დაასრულა მოლი 5 ქულით, მერე ხაზზე გაიშალა ბურთი კარგად და ის ალამთან ოთარ ლაშხმა დაამიწა. ლუკა მატკავას ჯარიმის შემდეგ ორივე გარდასახვა გაუცუდდა და ტაიმი 10:0 დასრულდა.

მეორე ტაიმიც „შავი ლომის“ აქტიურობით დაიწყო. მეტოქე ხშირად ჯარიმდებოდა, რასაც 49-ე წუთზე 5-მეტრიან წყვეტილთან გათამაშებული ჯარიმა, რამდენიმე მიძალება და თენგიზ პერანიძის ლელო მოჰყვა. მატკავა ამჯერად ზუსტი იყო. „ლუზიტანუშს“ სწრაფად შეეძლო პასუხის გაცემა, მაგრამ პორტუგალიელებმა ჯერ დაფარებულ ბურთზე ვერ ითამაშეს, მერე საკუთარი 22-იდან სწრაფი კონტრშეტევა წამოიწყეს და ლელოც გარდაუვალი ჩანდა, რომ არა აკა ტაბუცაძის ბოჯვა.

ბურთზე კონტროლი რომ დავიბრუნეთ, მასპინძელთა ნახევარზე დავბრუნდით და ტაიმის შუაში აგორებულ მოლს ბექა მამრიკიშვილის ლელო მოჰყვა. დასკვნით წუთებში „ლომბუშმა“ პრესტიჟის ლელოს გატანა სცადა, თუმცა გაუვალ დაცვას წააწყდა და საკუთარი ქომაგის წინაშე უქულოდ დარჩა.

„შავმა ლომმა“ გამარჯვების 4-თან ერთად ბონუს-ქულაც აიღო. შეგახსენებთ, რომ ქართველებს ბონუს ქულით ჰყავდათ დამარცხებული ესპანური „იბერიანსი“ (39:19) და 10 ქულით ჯგუფს ლიდერობენ.

**შავი ლომი**

ხაზი: **15. ლუკა ცირეკიძე, 14. აკაკი ტაბუცაძე, 13. გიორგი კვესელაძე, 12. მერაბ შარიქაძე (კაპ.), 11. ოთარ ლაშხი, 10. ლუკა მატკავა, 9. თენგიზ პერანიძე;**

შერკინება: **1. დათო აბდუშელიშვილი, 2. ირაკლი ქვათაძე, 3. ნიკა ხატიაშვილი, 4. გრიგორ ქერდიყოშვილი, 5. მიხეილ ბაბუნაშვილი, 6. ლუკა ივანიშვილი, 7. სანდრო მამამთავრიშვილი, 8. ილია სპანდერაშვილი.**

მარქაფა: **16. ბექა მამრიკიშვილი, 17. მიხეილ ნარიაშვილი, 18. ბაჩუკი ჭუმბაძე, 19. დემურ ეფრემიძე, 20. გიორგი კერვალიშვილი; 21. გიორგი მარგალიტაძე, 22. თორნიკე კახოიძე, 23. შალვა აფციაური.**

4 ლელო: **ქვათაძე, ლაშხი, პერანიძე, მამრიკიშვილი.**

1 გარდასახვა: **მატკავა.**

# გულმა უმტყუნა




**ალბანეთის ჩემპიონატში ტრაგედია მოხდა. „ეგნატიას“ ფეხბურთელი რაფაელ დვამენა მოედანზე გულის შეტევის შედეგად გარდაიცვალა.**

„ეგნატიას“ და „პარტიზანის“ მატჩში 28 წლის თავდამსხმელი მინდორზე უგონო მდგომარეობაში დაეცა და მაშინვე ნათელი იყო, რომ სერიოზული პრობლემა ჰქონდა. განელი საავადმყოფოში გადაიყვანეს, მაგრამ გზაში გარდაიცვალა.

აღსანიშნავია, რომ მას გულის პრობლემები მანამდეც ჰქონდა. პირველად ესპანურ „სარაგოსაში“ თამაშისას, სადაც გიორგი პაპუნაშვილის თანაგუნდელიც იყო.

რაფაელ დვამენა „ზალცბურგში“, „ლიფერინგში“, „აუსტრიაში“, „ციურიხში“, „ლევანტეში“, „ვეილეში“, „ლინცსა“ და „სარაგოსაში“ თამაშობდა, ხოლო განის ნაკრებში 2017-2018 წლებში 9 მატჩში 2 გოლი გაიტანა.

# თრომბოზს ემსხვერპლა

გრაზილიელი ტელევარსკვლავი, ბლოგერი, მოდელი და ნეიმარის ახლო მეგობარი, 29 წლის ლუენა ანდრადე მოულოდნელად გარდაიცვალა საავადმყოფოში ცხიმის მოცილების ოპერაციის დროს – წერს New York Post.

**„სევდიანი დღე ორი ცუდი ამბით. ჯერ ბრუს მშობლებს თავს დაესხნენ, მაგრამ მადლობა ღმერთს, ყველაფერი რიგზეა! მეორე, ჩემი მეგობრის სიკვდილი. ვუსამძიმრებ მის მთელ ოჯახს, ღმერთმა ხელგაშლილი მიიღოს ლუენა“,** – დაწერა ნეიმარმა სოციალურ ქსელში.



ანდრადე წავიდა სან-პაულუს სან-ლუისის საავადმყოფოში, რათა მუხლის ლიპოსაქცია (ცხიმოვანი ქსოვილის მოშორების ქირურგიული მეთოდი) გაეკეთებინა კერძო ქირურგთან. ოპერაციის დროს გოგონას გული გაუჩერდა. გადაუდებელმა გამოკვლევამ დაადგინა, რომ ანდრადეს ჰქონდა ფართო თრომბოზი. მოდელის გარდაცვალების მიზეზი ფილტვის ემბოლია გახლდათ.

# წავიდა ჩვენგან ღვაწლმოსილი მეცნიერი ამირან კახიძე



გარდაიცვალა ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყოფილი რექტორი, პროფესორი, არქეოლოგი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, არქეოლოგიური მუზეუმის დამაარსებელი, თაობათა აღმზრდელი, ღირსების ორდენის და ტბელ აბუსერისძის სახელობის პრემიის მფლობელი, ღვაწლმოსილი მეცნიერი **ამირან კახიძე**.

ამირან კახიძე დაიბადა სოფელ ქვედა ჩხუტუნეთში (ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი). 1959წ. დაამთავრა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტი. მუშაობდა სოფელ ჩხუტუნეთის საშუალო სკოლის მასწავლებლად.

1964-1966წწ. აკად. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ანტიკური ხანის არქეოლოგიის განყოფილებაში; 1966-2006წწ. ნიკო ბერძენიშვილის სახელობის ბათუმის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის წარმატებით დასრულების შემდეგ პროფესორმა ამირან კახიძემ 1961-64 წლებში ქართული არქეოლოგიური სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებლის, აკად. ანდრია აფაქიძის ხელმძღვანელობით გაიარა ასპირანტურის სრული კურსი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში. 1966 წელს დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1981 წელს სადოქტორო დისერტაციები.

1994 წლიდან არის ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის დირექტორი. პარალელურად კითხულობდა ლექციებს ბათუმის შოთა რუსთაველის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტში; 1970 წლიდან დაიწყო აჭარისწყლის ხეობის არქეოლოგიური ძეგლების გეგმაზომიერი კვლევა.

პროფ. ამირან კახიძემ მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა არქეოლოგიურ ექსპედიციაში (პეტრა-ციხისძირი, ლელვა-ჯიხანჯური, ხუცუბანი, ჩაქვისწყლის ხეობა, ბათუმის ციხე, მახვილაური, გონიოაფსაროსი, კოლოტაური, კვაშტა, ჭვანისციხე, სხალთის ეკლესია, ვერნები, ხიხაძირი, კალოთა, თხილვანა, ციხისფერდი, ვანაძეები, სოფელ ორცვასა და აჭარის მთიანეთში, კაპანდიბში, მახოში).

ღვაწლმოსილი მეცნიერის კვლევის ძირითადი ობიექტი იყო აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთის უძველესი ძეგლი — ფიჭვნარის ნაქალაქარი და მასთან დაკავშირებული ვრცელი სამაროვნები. 1999 წლიდან ხელმძღვანელობდა საქართველო-ბრიტანეთის ფიჭვნარის საერთაშორისო ერთობლივ ექსპედიციას. შედეგად გამოიცა მისი მონოგრაფიები: „ფიჭვნარი“ (ორი ტომი). მიუხედავად იმისა, რომ მოღვაწეობის ხანგრძლივ გზაზე არაერთ ექსპედიციაში მონაწილეობდა, 65-წლიანი კვლევის ძირითადმა ობიექტმა, ფიჭვნარმა, მეცნიერი მსოფლიოში ცნობილ ანტიკოსად აქცია. მან მონაწილეობა მიიღო ოქსფორდის უნივერსიტეტში, ვოლოსში (საბერძნეთი), საარბრიუკენში, ბოხუმში, ვისბადენში (გერმანია), თურქეთში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, პოლონეთში და სხვა ქვეყნებში გამართულ საერთაშორისო სიმპოზიუმებსა და კონფერენციებში.

მის სახელს უკავშირდება სხვადასხვა ენაზე გამოქვეყნებული ასობით სტატია და ათობით მონოგრაფია, მათ შორის „ჭოროხის აუზი კოლხური კულტურის უძველესი — კერა აჭარისწყლის ხეობის უძველესი არქეოლოგიური ძეგლები Восточное Причерноморье в античную эпоху: Колхские могильники; აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთის ანტიკური ძეგლები: ბიჭვინთის ბერძნული სამაროვანი. პროფ. ამირან კახიძემ ნაყოფიერი მუშაობა გასწია „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ მრავალტომეულის შექმნაში. აკადემიკოს დავით ხახუტაიშვილთან ერთად, ბატონმა ამირანმა, შექმნა არქეოლოგიის სკოლა, მისი ხელმძღვანელობით აღიზარდა მკლევართა თაობები.

წავიდა ჩვენგან დაუშრეტელი ენერგიის ადამიანი, რომელმაც მთელი ცხოვრება არქეოლოგიურ კვლევას მიუძღვნა.

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია**

## პროფესორ ამირან კახიძის ოჯახს, აჭარის სამეცნიერო საზოგადოებას

მეტად დამამწუხრა ცნობამ გამოჩენილი ქართველი მეცნიერის, ღირსეული მკვლევარისა და გამოჩენილი საზოგადო მოღვაწის, ჩემი კოლეგისა და მეგობრის, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ **ამირან კახიძის** გარდაცვალების შესახებ.

ბატონმა ამირანმა მნიშვნელოვანი ამაგი დასდო საქართველოს ისტორიის, კერძოდ არქეოლოგიის პრობლემების კვლევას. მისი წარმატებული საქმიანობა არაერთგზის აღინიშნა ქვეყნის მასშტაბით. აღმატებული და მრავალმხრივ საინტერესო იყო ერთი თვის წინ ამირან კახიძის მოხსენება მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდიუმის სხდომაზე.

ღრმად შეწუხებული ვუსამძიმრებთ ბატონ

**ამირან კახიძის**

ოჯახს, მთელ ქართველ საზოგადოებას ღირსეული საზოგადო მოღვაწისა და გამოჩენილი მეცნიერის ამქვეყნიდან მოულოდნელი წასვლის გამო. მაიმედებს, რომ ამირან კახიძის ხსოვნა მარადიული იქნება ზოგადად ქვეყნისა და მთელი ჩვენი სამეცნიერო საზოგადოებისათვის.

პატივისცემით,

**როინ მეტრეველი**

მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი

---

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის თანამშრომლები იზიარებენ მწუხარებას პროფესორ მაგული ჩხობაძის ქალიშვილის

**ქეთი ბერძენიშვილის**

გარდაცვალების გამო.

რამაზ ხეცურიანი, ალეკო ციბაძე, ბესიკ კილასონია, ზაურ ფხალაძე, კოკი კეკელიძე, ცისანა ხომერიკი, ნაირა აბუაშვილი, მადონა კიკაჩეიშვილი.

## ქვირაში სამჯერ ქუთაისიდან სტამბულის მიმართულებით



**22 დეკემბრიდან ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტში ოპერირებას თურქული ავიაკომპანია Pegasus-ი დაიწყებს.** საქართველოს აეროპორტების გაერთიანების გენერალური დირექტორის, **ირაკლი ქარქაშაძის** განცხადებით, ხანგრძლივი და რთული მოლაპარაკებების საბოლოო ეტაპი, რომელიც ჯერ კიდევ პანდემიამდე დაიწყო, ავიაკომპანიასთან წარმატებით დაასრულა.

**„ერთობლივი ძალისხმევით კიდევ ერთი წარმატებული პროექტი დავასრულეთ. შედეგად, ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტში ავიაკომპანია Pegasus დეკემბრის ბოლოდან, კვირაში 3 სიხშირით, სტამბულის მიმართულებით იფრენს. საბოლოო გადაწყვეტილება ავიაკომპანია Pegasus-მა სტამბულში, საავიაციო ფორუმ Routes World-ის ფარგლებში გამართული მოლაპარაკებების შემდეგ მიიღო. სტამბული არის ახალი მიმართულება ქუთაისის აეროპორტისთვის, რომელიც ტრანზიტულ მგზავრებსაც მოემსახურა, რაც ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია. დარწმუნებული ვართ, ძალიან წარმატებული იქნება და იმერეთის რეგიონის ტურისტულ და ეკონომიკურ განვითარებაზე მნიშვნელოვან გავლენას იქონიებს,“** – განაცხადა **ირაკლი ქარქაშაძემ.**

თურქული ავიაკომპანია Pegasus-ი ბაზარზე 1990 წლიდან ოპერირებს და ამ დროისთვის ფრენებს 50 ქვეყნის 130 მიმართულებით ახორციელებს. Pegasuთ-ი წარმატებით ფრენებს თბილისისა და ბათუმის საერთაშორისო აეროპორტებიდან წლებია ასრულებს.

## თბილისში ხვარაზმელების მიერ წამებული 100 000 წმინდანის ხსოვნის დღე



**13 ნოემბერს საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია იხსენიებს 100 000 წმინდანს, რომლებიც 1227 წელს ხვარაზმელებმა აწამეს.**

...ჟამთააღმწერელი მოგვითხრობს, რომ ხვარაზმის სულთანი ჯალალედინი საქართველოს საზღვრებს მოადგა და ათაბაგ ავაგ მხარგრძელს შესთავაზა: „აწ მნებავს, რათა შევერთნეთ მტკიცითა ფიცითა და ვბრძოლოთ მტერთა (მონღოლებს), რომელ მეფე თქვენი დედაკაცი არს და მყოთ ქმარ მისა და მეფე თქვენ ზედა და ვძლიოთ ყოველთა მტერთა ჩვენთა, უკეთუ ესე არა ჰყოთ, მოოხრდეს სამეფო თქვენი“. რუსუდანმა ავაგს უარი შეუთვალა... სულთანმა ლაშქარი თბილისისკენ დაძრა, ბრძოლის პირველ დღეს „ძლევა აჩვენეს ქართველთა“, მაგრამ ღამით მტერი თბილისში აღმოჩნდა... სისხლის მდინარემ წალეკა ქალაქი, ქუჩები და მტკვარი გვამებით აივსო.

სულთანმა მოარღვევინა სიონის ტაძრის გუმბათი, გამოატანინა ტაძრიდან მაცხოვრის და ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატები, დაასვენებინა ხიდზე და უბრძანა ქართველებს: „დათრგუნვა პატიოსანთა ხატთა და დატევება სჯულისა“. ვინც ამას არ აღასრულებდა, „წარკუეთა თავთა“ ელოდა. 100 000 ქართველი შეეწირა ამ დღეს წმინდა ხატების თაყვანისცემას და სარწმუნოების დაცვას. ერთი დღე 100 000 წამებული – მსოფლიოში უპრეცედენტო ფაქტია!

**გიული ლიპარტია**

## ახალი სპორტული მოედანი გლდანში

**გიორგიწმინდის დასახლებაში, აღმაშენებლის ქუჩაზე კომბინირებული სპორტული მოედანი მოეწყო. ხელოვნურსაფარიანი საფეხბურთო მოედანი, რომელიც თანამედროვე სტანდარტებს სრულად აკმაყოფილებს, 336 კვ.მ ფართობზე განთავსდა.**



მოედანზე დამონტაჟდა კალათბურთის ფარიც და მოეწყო გარე განათების სისტემა. ასევე, დამონტაჟდა დამცავი ბადე და ტრიბუნა. დასრულებულ სამუშაოებს გლდანის რაიონის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი ბესიკ კალაძე მოსახლეობასთან ერთად გაეცნო. პროექტის განხორციელებისთვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან 126 238 ლარი დაიხარჯა.

# კომედიის თეატრალური ფესტივალი

რუსთავის მერიის მხარდაჭერით, 10-დან 27 ნოემბრის ჩათვლით, რუსთავის გიგა ლორთქიფანიძის სახელობის პროფესიულ მუნიციპალურ დრამატულ თეატრში, კომედიის მე-9 თეატრალური ფესტივალი გაიმართება.

**კომედიის თეატრალური ფესტივალი ნიკოლოზ წულუკიძის პროექტით „ქართული თეატრის ამბავი ანუ“ გაიხსნა. „რუსთავს მდიდარი თეატრალური ისტორია და ტრადიციები აქვს. ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ ახალგაზრდებმა და არამხოლოდ ახალგაზრდებმა, შეძლონ საინტერესო სპექტაკლების ნახვა. რუსთავის თეატრი, მერიის ხელშეწყობით, წელს უკვე მესამედ მასპინძლობს კომედიის თეატრალურ ფესტივალს. ვინც დღეს ვერ შეძლო მოსვლა, ყველას მოვუწოდებ, მოვიდეს თეატრში, მათ ძალიან საინტერესო სპექტაკლები ელოდებათ საფესტივალო დღეების ფარგლებში“,** – განაცხადა რუსთავის მერმა **ნინო ლაცაბიძემ**.



პროექტის ავტორი, ნიკოლოზ წულუკიძე რუსთავის თეატრის სცენაზე, ანსამბლ სუხიშვილებთან, ეკა მამალაძესთან, ნიკა ნიკვაშვილთან და ოპერისა და ბალეტის ორკესტრთან ერთად წარდგა და მაყურებელს ქართული თეატრის აქამდე უცნობი ისტორიები გააცნო. საღამოში მონაწილეობა მსახიობებმა ჯაბა კილაძემ და კახა მიქიაშვილმაც მიიღეს.

**„ემოციებისგან ვარ დაცლილი იმიტომ, რომ ძალიან რთულია გამოხვიდე ასეთ საპასუხისმგებლო სცენაზე, ისეთი აუდიტორიის წინაშე, სადაც მართლა ქართული თეატრის ოქროს ხანა იწერებოდა. მინდა მადლობა ვუთხრა ქალაქ რუსთავს, რუსთავის თეატრს და მერს - ნინო ლაცაბიძეს ასეთი გულთბილი დახვედრისთვის, სიყვარულისთვის და იმ საოცარი სითბოსთვის, რომლითაც ვბრუნდები უკან“,** – განაცხადა ნიკოლოზ წულუკიძემ.

კომედიის ფესტივალზე, პირველ სპექტაკლს ტრადიციულად მარჯანიშვილის თეატრი წარადგენს. სულ ფესტივალში 12 თეატრალური დასი მიიღებს მონაწილეობას.

# დიდი რეჟისორის კიდევ ერთი გამარჯვება

**შოთა რუსთაველის სახელობის ეროვნულ თეატრში რობერტ სტურუას მიერ დადგმული ძველი ბერძენი დრამატურგის, ტრაგედიის მამად წოდებული ესქილეს, პიესის, „მიჯაჭვული პრომეთეს“, მეორე ეპიზოდის პრემიერა გაიმართა. სპექტაკლს საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი თეა წულუკიანი დაესწრო.**

ესქილემ პრომეთეს სამი პიესა მიუძღვნა, თუმცა ჩვენამდე მხოლოდ ერთმა – „მიჯაჭვულმა პრომეთემ“ მოაღწია. ესქილეს ამ პიესაში ადამიანი კაცობრიობის გადასარჩენად იბრძვის. ზევსმა პრომეთე დასაჯა, ის კი მაინც განაგრძობს გმირულ ბრძოლას, არ ნებდება და ყველა დაბრკოლებას უძლებს. მეორე ეპიზოდში გადმოცემულია ოკეანის ღმერთისა და პრომეთეს შეხვედრა. „მიჯაჭვული პრომეთე“ ტრილოგიად ჩაფიქრებული სპექტაკლია. მაყურებელმა რუსთაველის თეატრის სცენაზე უკვე ნახა სპექტაკლის პირველი ეპიზოდი, რომელიც გამოჩენილმა რეჟისორმა საქართველოს კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით დადგა. სწორედ ამ სპექტაკლით გაიხსნა თეატრის 145-ე სეზონი.

სპექტაკლი მუსიკალურად გააფორმეს სვიმონ ჯანგულაშვილმა და რობერტ სტურუამ, ქორეოგრაფია კოტე ფურცელაძე. სპექტაკლში მონაწილეობენ მსახიობები: ლევან ხურცია, მანანა აბრამიშვილი, ანა ამილახვარი, ნინო არსენიშვილი, გოგა ბარბაქაძე, ლუკა გულედანი, ბუკა თოლორდავა, კახა კუპატაძე, ირაკლი კერესელიძე, ბექა მეძმარიაშვილი, ეკა მინდიაშვილი, ტრისტან სარალიძე, ქეთი სვანიძე, გაგი სვანიძე, ბექა სონღულაშვილი, დავით უფლისაშვილი, ნატალია ყულოშვილი, ქეთი ხიტირი. საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო ულოცავს დიდ ქართველ რეჟისორსა და რუსთაველის თეატრის დასს კიდევ ერთ წარმატებულ პრემიერას და მათ ნაყოფიერ შემოქმედებით საქმიანობას უსურვებს.





# დაიცავით საავტორო უფლებები!!!

**საქართველოს ხელოვანები ერთ პლატფორმაზე ერთიანდებიან. ამის შესახებ საქართველოს ავტორთა საინიციატივო ჯგუფის შეხვედრაზე გახდა ცნობილი.**

შეხვედრაზე აღინიშნა, რომ ახალი პლატფორმის შესახებ მეტი დეტალი უახლოეს დღეებში გახდება ცნობილი. შეხვედრაზე ავტორთა საინიციატივო ჯგუფმა, საავტორო უფლებების სფეროში მიმდინარე პროცესების შესახებ შუალედური შეფასებაც წარადგინა.

სფეროში არსებული გამოწვევებიდან გამომდინარე, საავტორო უფლებების დაცვის კანონში მიმდინარე წლის 4 ივლისს ცვლილებები შევიდა. რის შემდეგაც, საქპატენტმა გამოაცხადა კონკურსი ორგანიზაციისთვის აკრედიტაციის მისანიჭებლად. კონკურსი მიმდინარე წლის 26 ნოემბერს დასრულდება. გამარჯვებული კი მხოლოდ ერთი ასოციაცია იქნება, რომელიც ავტორთა უფლებების დასაცავად ოფიციალური ლიცენზიას მიიღებს.

# ქართველი პოეტის აღიარება



**მადლობა, ვისაც ეს განზრახვა ფიქრში გაუჩნდა და განახორციელა შემდეგ,** – ამის შესახებ პოეტმა დათო მაღრაძემ მადრიდში სერვანტესის ინსტიტუტში გამართულ მის შემოქმედებით საღამოსა და ჯილდოსთან დაკავშირებით გადაცემაში „იმედი Live“ განაცხადა.

**„ემოცია, რა თქმა უნდა, მძაფრია, როდესაც იღბალი მიგიყვანს სერვანტესის ინსტიტუტში. რა უნდა იყოს უფრო აღმატებული განწყობილების გამჩენი, როდესაც სერვანტესის ინსტიტუტი თავისი აღიარების მედალს მოგანიჭებს. გამოგარჩევს იმ ხალხში, რომელიც მათ თვალსაწიერში არსებობენ. მგონია, რომ ეს (ჯილდო) არის ქართველი საზოგადოების დაფასება, ჩვენი თანამედროვე სულიერების. მადლობა, ვისაც ეს განზრახვა ფიქრში გაუჩნდა და განახორციელა შემდეგ“,** – აღნიშნა მაღრაძემ. მადრიდში, სერვანტესის ინსტიტუტმა დათო მაღრაძე „აღიარების მედლით“ დააჯილდოვა.

# „გრემის“ დაჯილდოების რეკორდი

**ტეილორ სვიფტის სიმღერა Anti-Hero „გრემის“ საუკეთესო სიმღერის ნომინაციაში მოხვდა. მომღერალმა ამ ნომინაციაში მოხვედრის რაოდენობით რეკორდი დაამყარა.**

ტეილორ სვიფტი გახდა პირველი მომღერალი, რომელიც მეშვიდედ მოხვდა ამ ნომინაციაში. წინა რეკორდი პოლ მაკარტნისა და ლაიონელ რიჩის (6-6 ნომინაცია) ეკუთვნოდათ.

სვიფტი ასევე ნომინირებულია საუკეთესო ალბომის და საუკეთესო ჩანაწერის კატეგორიებში ოლივია როდრიგოსთან, მაილი საირუსთან და SZA-სთან ერთად. რაც შეეხება საუკეთესო სიმღერის ნომინაციას, ტეილორ სვიფტის კონკურენტებს შორის არიან ლანა დელ რეი, ბილი აილიში, SZA და დუა ლიპა. „გრემის“ დაჯილდოების ცერემონია 4 თებერვალს ლოს-ანჯელესში გაიმართება.



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ა.წერეთლის №116 (დიდუბე პლაზა)

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

მთავარი რედაქტორის მოადგილე
მამუკა ვაშაკიძე
597-22-07-04

ტექნიკური რედაქტორი
კახა ქორიძე

შემოქმედებითი ჯგუფი:
ალეკო ასლანიშვილი
გია გაბრიჭიძე
გია პლატონიშვილი
ოთარ ტურაბელიძე

სტილისტ-კორექტორები:
ნაირა კეკელია,
მაია იორამაშვილი,

ოპერატორი
ზორენა გვილია

რეკლამის მენეჯერი:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ანგარიშის ნომერი
GE90BG0000000538329790

გამომცემელი:
შპს 100 – ახალი „საქართველოს რესპუბლიკა“ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 36-00-35

იბეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323

2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ხუთშაბათს, 16 ნოემბერს**

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.6989; ევრო - 2.8819;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.3168;
100 რუბლი - 2.9315; თურქული ლირა - 0.0945;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5898;
1000 სომხური დრამი - 6.7313

**ამინდი 13 ნოემბრისთვის**

| | | |
|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | |
| ბარი - | ღამე +5, | დღე +23 |
| მთიანი რაიონები - | ღამე +1, | დღე +19 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | |
| ბარი - | ღამე +10, | დღე +24 |
| მთიანი რაიონები - | ღამე +4, | დღე +21 |
| თბილისი: | ღამე +9, | დღე +22 |

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-36-00-35, 577-77-27-17
ელ. ფოსტა: sakresp@top.ge
და sakresp@mail.ru
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge